პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

გამოდის 46-ე წელი. № 136 (13221) | პარასკევი, 11 ივნისი, 1965 წ. | ფასი 2 კაპ.

ᲣᲜᲗᲘ ᲛᲝᲡᲐᲕᲚᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ, ᲛᲘᲜᲓᲕᲠᲘᲡ ᲛᲨᲠᲝᲛᲔᲚᲔᲑᲝ!

ᲓᲘᲡᲐᲜᲘᲨᲜᲐᲕᲘ. ინიციატივა წამოიწყო სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერმა სიმონ ბეჟანიშვილმა. მან ამას წინათ ჩვენი გაზეთის საშუალებით რესპუბლიკის მექანიზატორებს მოუწოდა, მთელი ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება თავთავიანი მარცვლეული კულტურების მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისთვის. ტიბაანელმა მექანიზატორმა ვალდებულება იკისრა 12 სამუშაო დღეში თვითმავალი კომბაინით ნაცვლად 120 ჰექტარისა პურეული აიღოს 200 ჰექტარზე, დღეში გალეწოს 350-360 ცენტნერი მარცვალი.

კოლმეურნე მექანიზატორის პატრიოტულმა თაოსნობამ, ისე როგორც ყოველთვის, ახლაც ფართო გამობმაურება და მხარდაჭერა ჰპოვა ჩვენი რესპუბლიკის მექანიზატორებში. კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება ახლა მთელი ძალით გაჩაღდა. დაიწყო აგრეთვე ნაკისრ ვალდებულებათა განაღდება. კომბაინერმა ს. ბეჟანიშვილმა ველის ხომალდით ორ დღეში ქერი 25 ჰექტარზე მეტი მომკა და ასობით ცენტნერი მარცვალი გალეწა.

თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება დაიწყო აგრეთვე გარდაბნისა და ლაგოდეხის რაიონების მინდვრებში. ამ რაიონების მექანიზატორებმა მ. მჭედლიძემ, ს. ისმაილოვმა, მ. მუსტაფაევმა, ლ. ბაბაევმა, ს. ახმედოღლიმ და ბ. ომაროღლიმ მხარი დაუჭირეს ს. ბეჟანიშვილის პატრიოტულ თაოსნობას, ჩაებნენ სოციალისტურ შეჯიბრებაში და პირველ ორ დღეში ათობით ჰექტარზე აიღეს ქერის მოსავალი. ჰექტარზე 20-25 ცენტნერ ქერს იღებენ გარდაბნის რაიონის რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორები. ეს იმის შედეგია, რომ მათ თავთავიანი კულტურების თესვა აგროწესების ზუსტად დაცვით აწარმოეს. შემდეგ კი ნათესებს მოვლა-პატრონობა არ მოაკლეს, მეცნიერების მიღწევებისა და მოწინავეთა გამოცდილების წარმოებაში დანერგვით კარგად გამოაზამთრეს ნათესები. რუისბოლოელები ახლა თავიანთი შრომის ნაყოფით ხარობენ.

მემინდვრეებისათვის მკა ყველაზე სასიხარულო და პასუხსაგები პერიოდია, სასიხარულოა იმიტომ, რომ მემინდვრე თავისი თვალით ხედავს მრავალი თვისა და დღის შემოქმედებითი შრომის ნაყოფს, პასუხსაგებია იმიტომ, რომ დრო არასოდეს ისე ძვირფასი არ არის, როგორც ახლა, მკისას. ყოველი გაცდენილი დღე ხომ რამდენიმე ცენტნერი თოფნა მოყვანილი მარცვლეულის დაკარგვას უდრის!

მიმდინარე წელს რესპუბლიკის კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში მკა განსაკუთრებით დაძაბული იქნება, ვინაიდან გაზაფხულმა ერთობ გაგვიანა და საშემოდგომო და საგაზაფხულო თავთავიანი კულტურები თითქმის ერთდროულად მწიფდება. ეს კი დროის მაკსიმალურად გამოყენებას მოითხოვს. ნთქვამია — დაგვიანებ მოსავლის აღებას, წაგებ. დროზე აიღე — მოიგებო. ვინც კარგად მოემზადა მკისათვის, ვინც დროულად შეაკეთა კომბაინები, შეადგინა მოსავლის აღების მტკიცე გეგმა-გრაფიკი, იმას არც გაუჭირდება მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღება.

კარგი ინიციატივა გამოიჩინეს „საქსოფლტექნიკის“ ლაგოდეხის, გურჯაანისა და გარდაბნის რაიონულ გაერთიანებათა მექანიზატორებმა. მათ ვალდებულება იკისრეს მოსავლის აღების პერიოდში კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მექანიზატორებს ადგილზე, მინდვრად გაუწიონ ტექნიკური დახმარება, რათა არც ერთ საათს არ გაცდეს კომბაინი. მათი მოძრავი სახელოსნოები ყოველთვის მინდვრად. მოსავლის სიუხვის ფრონტზეა და მანქანების დაზიანების შემთხვევაში დაუყოვნებლივ შეაკეთებენ გატეხილ ნაწილს.

რესპუბლიკის მემინდვრეებს თავთავიანი კულტურები 250 ათას ჰექტარზე მეტი აქვთ ასადები. ეს დიდ შრომას მოითხოვს, რომ არ დაკარგოთ არც ერთი კილოგრამი მარცვალი, საზოგადოებრივ ბედღლში მიეტანოთ მაღალხარისხოვანი პურეული. გარდაბნის რაიონის რუისბოლოს საბჭოთა მეურნეობამ გეგმით 550 ტონა პური და 50 ტონა ქერი უნდა მიჰ. ყიდოს სახელმწიფოს. მაგრამ აქ ამას როდი სჯერდებიან. პურეულის ყანებს კარგი პირი უჩანს, მკის პირველი დღეებით ცხადი გახდა, რომ წელს უბე მოსავალს მოიმკიან. გადაწყვიტეს გეგმის ზევით სამშობლოს მისცენ 500 ტონა მარცვალი.

საზოგადოებრივ მეურნეობათა პირველი რიგის საზრუნავია აგრეთვე სახელმწიფოსათვის მაღალხარისხოვანი მარცვლეულის დროულად მიყიდვა. მკასთან ერთად მარცვლეული კარგად უნდა დავბინაოთ და სახელმწიფოსათვის მარცვლეულის მიყიდვის გეგმა აუცილებელად უნდა შეგასრულოთ.

სულ მალე თავთავიანი კულტურების მოსავლის აღება რესპუბლიკაში მთელი ძალით გაჩაღდება. სტატისტიკური სამმართველოს უკანასკნელი ცნობების მიხედვით კი კომბაინების რემონტის გეგმა შესრულებული არ არის. ნაცვლად 825 კომბაინისა გარემონტებულია 600, ამ საქმეში ჩამორჩნენ კასპის, ახალციხის და სხვა რაიონების მექანიზატორები. არ უნდა დავივიწყოდეს, რომ მანქანის შეუფერხებლად მუშაობა წარმატების საწინდარია.

საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების პირველი რიგის ამოცანა ის არის, რომ მექანიზატორს შეუქმნათ მუშაობის ნორმალური პირობები. მოსავლი შემჭიდროებულ დროში რომ ავიღოთ და კომბაინერმაც ნორმალურად იმუშაოს, საჭიროა მოვაწყოთ ორ ცვლად მუშაობა. ამ მხრივ კარგი გამოცდილება აქვთ წითელწყაროს, ყვარლის, გურჯაანის და სიღნაღის რაიონების მექანიზატორებს. ორ ცვლად მუშაობისათვის მზადება დროულად უნდა დამთავრდეს ყველა რაიონში.

მექანიზატორებს, მინდვრის ყველა მშრომელს მოსავლის აღების პერიოდში მზრუნველობა არ უნდა მოაკლდეთ. საზოგადოებრივ მეურნეობათა ხელმძღვანელების, პირველადი პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციების გადაუდებელი ამოცანა ის არის, რომ დაუცხრომლად იბრძოლონ მინდვრის მშრომელთა კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების გაუმჯობესებისათვის. მინდვრად მომუშავეებს ყოველთვის უნდა ქქონდეთ ცხელი საჭმელი და პირველი მოთხოვნილების აუცილებელი ნივთები. ამასთან რეგულარულად უნდა ვუჩვენებდეთ მათ კინოფილმებს, მინდვრად ვმართავდეთ საღამო-კონცერტებს. ამ საქმეში პირველი სიტყვა ეკუთვნით რაიხაბ. ჭოს აღმასკომების კულტურის განყოფილებებს, ხელოვნებისა და კინოფიკაციის მუშაკებს.

დაიწყო პურეულის მკა, დადგა მოსავლის აღების პასუხსაგები პერიოდი. ახლა სოფლის მეურნეობის საწარმოო სამმართველოთა სპეციალისტების, აგრეთვე საზოგადოებრივ მეურნეობათა სპეციალისტების სამუშაო ადგილი მინდორია. ყოველი თავთავისათვის, ყოველი მარცვალი პურისათვის ბრძოლა იმას ნიშნავს, რომ თავდადებით იბრძოდე ჩვენი სამშობლოს მშრომელთა უზრუნველყოფისათვის პურით, სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა განუხრელად შესრულებისათვის.

მოსავლის შემჭიდროებულ ვადებში და უდანაკარგოდ აღებისათვის გაშლილ კომბაინერთა სოციალისტურ შეჯიბრებას, რომელიც ეს არის დაიწყო, სათავეში უნდა ჩაუდგნენ პირველადი პარტიული ორგანიზაციები. ამ საქმეზე ყოველდღიურ კონტროლსა და დახმარებას, ხელმძღვანელობას უნდა ახორციელებდნენ პარტიული რაიონული კომიტეტები.

უხვი მოსავლისათვის, მინდვრის მშრომელებო!

• კომბაინერთა სოციალისტური შეჯიბრება •



მოსავალი ავიღოთ 12 სამუშაო დღეში!

მარცვლეულის გაიაფებისათვის

სიღნაღის რაიონის სოფელ ტიბაანის კოლმეურნეობის კომბაინერმა სიმონ ბეჟანიშვილმა მისასალმებელი ინიციატივა წამოიწყო. 12 სამუშაო დღეში 200 ჰექტარი პურეულის მომკა იკისრა და მოგვიწოდა გავაჩაღოთ სოციალისტური შეჯიბრება.

მეც ვკისრულობ **12 დღეში ავიღო 200 ჰექტარი. არ დავუშვებ არც თავთავის, არც მარცვლის დანაკარგს. თვითეული ცენტნერი მარცვლის გალეწვის ღირებულებას შარშანდელთან შედარებით 10 პროცენტით გავიაფებ.**

სოციალისტური შეჯიბრებაში ვიწვევ ყვარლის რაიონის კოლმეურნეობა „დურუჯის“ კომბაინერს გ. მირზოიანშვილს.

ს. რამაზაშვილი,

ახმეტის რაიონის სოფელ ზემო ხოდაშნის კოლმეურნეობის კომბაინერი, რესპუბლიკის დამსახურებული მექანიზატორი.

გამოწვევა მიღებულია

გაზეთ „კომუნისტიდან“ შეეტყვე, რომ ლაგოდეხის რაიონის ვარდისუბნის კოლმეურნეობის კომბაინერმა მ. მჭედლიძემ სოციალისტურ შეჯიბრებაში გამოიწვია. გამოწვევას სიხარულით ვიღებ. შარშან მე თვითონ ვიყავი რესპუბლიკაში სოციალისტური შეჯიბრების ინიციატორი. მაშინ ვალდებულება გადამეტებით გავასრულე.

წელს უკეთესად ვიმუშავებ. 12 სამუშაო დღეში 210 ჰექტარს მოვმკი. სულ მალე დაიწყება მკა. საამისოდ მზად ვარ.

სოციალისტურ შეჯიბრებაში ვიწვევ ჩვენივე კოლმეურნეობის კომბაინერს გ. წმინდაშვილს.

ზ. სუხიტაშვილი,

ყვარლის რაიონის ახალსოფლის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის კომბაინერი.

ᲨᲕᲘᲓᲬᲚᲔᲓᲘ ᲕᲐᲓᲐᲛᲬᲘᲜᲐᲠᲔ

ᲥᲘᲐᲗᲣᲠᲐ. (საკ. კორ.). თავდადებულად და რეზერვების მობილიზებით ... ნიკიძის სახელობის მაღაროს კოლექტივი (დირექტორი ვ. სამბარაძე, პარტიული კომიტეტის მდივანი აკ. სხირტლაძე). ორკონიკიძელებმა ახალი, შესანშნავი გამარჯვება მოიპოვეს. მათ შვიდი თვით ადრე შესრულეს სასაკონლო მარგანეცის დამზადების შვიდწლიანი გეგმა. აღსანიშნავია, რომ დიდი გადაჯარბებით არის შესრულებული მაღალხარისხოვანი მარგანეცის გამოშვების შვიდწლიანი დავალება და მომავალი წლის ანგარიშში გამოშვებულია ათასობით ტონა მარგანეცი.

ეს წარმატება მოპოვებულია სოციალისტური შეჯიბრების გაჩაღებით, ახალი ტექნიკისა და რეზერვების გონივრული გამოყენებით, მაღაროელების დაუღალავი შრომით. ზეგეგმითს მარგანეცს იძლევიან პირველი და მეოთხე უბნების კოლექტივები, პეროქსიდების გამამდიდრებელი ფაბრიკა, რომელსაც ინჟინერი ვ. სალიანაძე უძღვება.

კეთილსინდისიერი შრომის ნიმუშებს იძლევიან კომუნისტური შრომის დამკვრელები ბ. კილაძე, ლევან და ვახტანგ გაფრინდაშვილები, ბ. კენჭოშვილი და სხვები.

მთავართბილისმშენის № 6 სამშენებლო სამმართველოს (უფროსი გ. თვალავაძე) კოლექტივმა, რომელიც შვიდწლედის დამამთავრებელი წლის გეგმით გათვალისწინებულ მშენებლობათა წარმატებით შესრულებისათვის ბრძოლაში ბაქოელ თანამოსაქმეებს ეჯიბრება, მშენებლობისათვის გათვალისწინებული თანხების ათვისების ხუთი თვის დავალება 50 ათასი მანეთის გადაჭარბებით შეასრულა. საექსპლოატაციოდ გადაცემულია 9.449 კვადრატული მეტრი საცხოვრებელი ფართობი. უახლოეს ხანში თბილისის მშრომელები მიიღებენ 14.490 კვადრატულ მეტრ საცხოვრებელ ფართობს.

განვლილ დროში საშენი მასალების მომჭირნეობით ნარჯვითა და მშენებლობის თვითღირებულების შემცირებით მიღებულია 36.700 მანეთი ზეგეგმითი მოგება.

ᲣᲡᲘᲜᲘᲡᲜᲘ ᲡᲐᲥᲛᲔ

ᲑᲣᲚᲒᲐᲠᲔᲗᲘᲡ ᲙᲝᲛᲞᲐᲠᲢᲘᲘᲡ ᲪᲙ-ᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

სოფია, 10 ივნისი. (საკქესი). დღეს აქ მუშაობა დაიწყო ბულგარეთის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა, იუწყება ბულგარეთის დეპეშათა სააგენტო. პლენუმს ესწრებიან თვალსაჩინო სახელმწიფო და სამეურნეო მოღვაწეები, აგრეთვე მეცნიერი მუშაკები. პლენუმი განიხილავს მიწათსათმშენებლობის დარგში ბულგარეთის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის გადაწყვეტილებათა შესრულების შედეგებს და ამ დარგის უმნიშვნელოვანეს ამოცანებს 1970 წლამდე პერიოდისათვის.

ᲞᲐᲞᲠᲘᲝᲒᲣᲚᲘ ᲐᲛᲐᲕᲚᲝᲑᲐ

პანოი, 10 ივნისი. (საკქესი). ოთოქმის მილიონმა ვიეტნამელმა მოკალქმ ათოოკა ჩარიცხონ არმიაში, რათა იარაღით ხელში იბრძოლონ ამერიკელ აგრესორთა წინააღმდეგ, ნათქვამია ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ეროვნული თავდაცვის სამინისტროს კომუნიკეში.

ᲑᲔᲠᲢᲠᲐᲜ ᲠᲐᲡᲔᲚᲘᲡ ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ

ლონდონი, 10 ივნისი. (საკქესი). „პრეზიდენტ ჯონსონის გადწყვეტილება, გამალოს ფართო ომი ვიეტნამში, მოწმობს, რომ უგულებელყოფს მსოფლიოს საზოგადოებრივ აზრს“, — ნათქვამია ცნობილი ინგლისელი ფილოსოფოსის და მშვიდობისათვის მებრძოლის ბერტრან რასელის განცხადებაში, რომელიც ლონდონში გამოქვეყნდა. ბერტრან რასელმა მოუწოდა ამერიკელ ხალხს მოაწყოს საპროტესტო ლაშქრობა ვაშინგტონში.

ᲓᲐᲐᲞᲐᲢᲘᲛᲠᲔᲡ ᲡᲘᲛᲝᲜ ᲠᲔᲘᲜᲘᲡᲘ

ლა-პასი, 10 ივნისი. (საკქესი). ბოლივიის კომუნისტურმა პარტიამ გამოაქვეყნა კომუნიკე, რომელშიც იუწყება, რომ დაპატიმრებულია პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი, ბოლივიის მაღაროელთა ფედერაციის ხელმძღვანელობის წევრი სიმონ რეინესი. იგი მოუწოდებს საერთაშორისო ორგანიზაციებს გაიღაჟღერონ პოლიციური დევნის წინააღმდეგ და სოლიდარობა გამოუცხადონ დაპატიმრებულს.

ᲒᲐᲛᲒᲔᲒᲝᲚᲘᲐ ᲡᲐᲘᲓᲣᲛᲚᲝ ᲗᲐᲜᲐᲛᲒᲖᲐᲕᲠᲘ

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკქესი). გუშინ ვანდერბერგის ბაზიდან (კალიფორნიის შტატი) გაშვებულია საიდუმლო თანამგზავრი. როგორც ჩვეულებრივად ხდება ხოლმე ასეთი თანამგზავრების გაშვების დროს, სამხედრო-საჰაერო ძალების წარმომადგენელს არ გაუცხადებია, გავიდა თუ არა სატელიტი ორბიტაზე. ცნობილია მხოლოდ, რომ საიდუმლო თანამგზავრის გასაშვებად გამოიყენეს „ტორ-აგენის“ რაკეტული სისტემა.

ᲡᲐᲑᲭᲝᲗᲐ ᲙᲐᲕᲨᲘᲠ-ᲜᲝᲠᲕᲔᲒᲘᲘᲡ ᲔᲠᲗᲝᲑᲚᲘᲕᲘ ᲙᲝᲛᲣᲜᲘᲙᲔ

საბჭოთა მთავრობის მოწვეული ნორვეგიის პრემიერ-მინისტრი გერჰარდსენი მეუღლითურთ ვიზიტით იყო საბჭოთა კავშირში 31 მაისიდან 9 ივნისამდე.

პრემიერ-მინისტრი გერჰარდსენი შეხვდა და ესაუბრა ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ნ. კოსიგინს, ა. ი. მიკოიანსა და საბჭოთა კავშირის სხვა ხელმძღვანელ მოღვაწეებს. საუბრების დროს გაიმართა აზრთა ფართო და მეგობრული ურთიერთ გაზიარება როგორც საერთაშორისო მდგომარეობის საკითხებზე, ისე იმ საკითხებზე, რომლებიც ეხება საბჭოთა კავშირისა და ნორვეგიის ურთიერთობას.

ორივე მხარემ, ნათქვამია საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის ერთობლივ კომუნიკეში, გამოთქვა შეშფოთება იმის გამო, რომ გაუარესდა საერთაშორისო მდგომარეობა დედამიწის გარკვეულ რაიონებში, რომელიც სერიოზულ საფრთხეს უქმნის მშვიდობას. გამოთქვა საერთო აზრი, რომ სახელმწიფოთა შორის წარმოქმნილი ყველა სადავო საკითხი უნდა გადაიჭრას მშვიდობიანი საშუალებებით და რომ ურთიერთგაგებისა და ნდობის შექმნისათვის მშვიდობის საკეთილდღეოდ საჭიროა სხვადასხვა სოციალური სისტემის სახელმწიფოთა მშვიდობიანი თანაარსებობა და თანაშრომლობა სრული თანასწორობისა და სხვა სახელმწიფოების საშინაო საქმეებში ჩაურევლობის საფუძველზე.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, თუ რა მნიშვნელობა აქვს გაერთიანებულთა ერების ორგანიზაციის, როგორც მთავარი ინსტრუმენტის, შენარჩუნებას, როცა საქმე ეხება დედამიწის ერების შორის მშვიდობიანი ურთიერთობის უზრუნველყოფას, და გამოთქვეს თავიანთი თვალსაზრისი განიარაღების საკითხზე.

როგორც კომუნიკეშია აღნიშნული, საბჭოდა კავშირისა და ნორვეგიის ურთიერთობის საკითხთა განხილვის დროს ორივე მხარემ გამოთქვა აზრი, რომ არის შესაძლებლობანი კიდევ უფრო გაფართოვდეს ორი ქვეყნის საკაბრო ურთიერთობა და ეკონომიური თანამშრომლობა. გამოთქვა სურვილი, რომ განმტკიცდეს თანამშრომლობა, რომელიც ვითარდება საბჭოთა კავშირ-ნორვეგიის კულტურული თანამშრომლობის შესახებ შეთანხმების საფუძველზე, აგრეთვე გაფართოვდეს კონტაქტები მეცნიერებისა და ტექნიკის დარგებში.

ორივე მხარემ ხაზგასმით აღნიშნა, რომ ნორვეგიის პრემიერ-მინისტრის ვიზიტი საბჭოთა კავშირში და ამ ვიზიტის დროს გამართული საუბრები ხელს შეუწყობენ ორი ქვეყნის კარგი ურთიერთობისა და თანამშრომლობის განმტკიცებას.

(საკქესი).

ᲔᲠᲜᲘ ᲒᲠᲘᲜᲩᲘᲜᲘᲡ ᲛᲝᲜᲐᲬᲘᲚᲔᲝᲑᲐ ᲓᲐᲛᲝᲣᲙᲘᲓᲔᲑᲘᲗ

ᲛᲝᲡᲙᲝᲕᲘ, (საკქესის კორ.). დიდი ამოცანები დგას სოფლის მშრომელებს, სპეციალისტებს, მეცნიერებისა და მრეწველობის მუშაკების წინაშე სკკპ ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულების საქმეში. მოსკოვში დამთავრდა სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკთა სრულიად საკავშირო თათბირი. თათბირში მონაწილეობდნენ მოკავშირე და ავტონომიურ რესპუბლიკათა სოფლის მეურნეობის მინისტრები, სამხედრეო და სოფლურ სოფლის მეურნეობის საამმართველოთა უფროსები, სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის, სრულიად საკავშირო გაერთიანება „სელსოფლტექნიკის“, ოფსეთის სფსრ სარწყავი მიწათმოქმედებისა და წყლთა მეურნეობის საწარმოო კომიტეტის, სსრ კავშირის სახელმწიფო საგეგმო კომიტეტისა და სხვა ცენტრალურ უწყებათა პასუხისმგებელი მუშაკები, აგრეთვე მეცნიერები.

თავის მოხსენებაში სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის მინისტრმა ვ. ვ. მატეევიჩმა ილაპარაკა საგაზაფხულო თესვის შედეგებზე, ნათესების მდგომარეობაზე, მეცხოველეობის განვითარებაზე. იგი შეეხო სოფლის მეურნეობის ყველა სახეობის პროდუქციის წარმოების გადიდების ამოცანებს.

თათბირზე გამოსულმა ორატორებმა ილაპარაკეს კონკრეტულ ღონისძიებებზე, რომლებიც დასახულია რესპუბლიკებში, მხარეებსა და ოლქებში პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადწყვეტილებათა შესრულებისათვის. გამოთქვეს კრიტიკული შენიშვნები იმ ქარხნების მიმართ, რომლებიც მინერალურ სასუქებს აწარმოებენ, ტრაქტორებსა და სასოფლო-სამეურნეო მანქანებს აწარმოებ სოფელს.

თათბირის მონაწილეებმა აღნიშნეს, რომ სოფლის მეურნეობის აღმავლობა მარტო სოფლის მშრომელების, მრეწველობის მუშაკებისა და მეცნიერების საქმე როდია, ეს მთელი ხალხის საქმეა.

ᲒᲐᲜᲪᲮᲐᲓᲔᲑᲐ ᲐᲮᲐᲚᲘ ᲖᲔᲚᲐᲜᲓᲘᲘᲡ ᲛᲗᲐᲕᲠᲝᲑᲘᲡᲐᲓᲛᲘ

ᲛᲘᲜᲓᲜᲐᲠᲔ წლის 8 ივნისს სსრ კავშირის დესპანი ახალ ზელანდიაში ბ. ი. დოროფეევი ეწვია ახალი ზელანდიის პრემიერ-მინისტრს და საგარეო საქმეთა მინისტრს კ. პოლოიკს და განუცხადა შემდეგი:

„მიმდინარე წლის 27 მაისს ახალი ზელანდიის მთავრობამ გამოაცხადა, რომ აპირებს სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნოს საარტილერიო ბატარეა, რომელმაც მხარი უნდა დაუჭიროს ავსტრალიის ქვეითი ჯარის ბატალიონს. ეს ბატალიონი ავსტრალიის მთავრობამ გაგზავნა იმ აგრესიულ ომში მონაწილეობისათვის, რასაც ამერიკის შეერთებული შტატები აწარმოებენ ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ.

ასეთ ნაბიჯს რომ დგამს, ახალი ზელანდიის მთავრობა პირდაპირი თანამონაწილე ხდება ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიული მოქმედებისა ვიეტნამში. ახალი ზელანდიის მთავრობის ეს აქცია საერთაშორისო სამართლის უმნიშვნელოვანესი ნორმებისა და ვიეტნამის შესახებ ჟენევის 1954 წლის შეთანხმებათა დარღვევაა.

ცნობილი, ახალი ზელანდიის მთავრობას არაერთხელ განუცხადებია, რომ იწონებს ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიულ მოქმედებას სამხრეთ ვიეტნამში, და მხარს უჭერდა ამ მოქმედებას, რაც გამოიხატა, კერძოდ, იმით, რომ სამხრეთ ვიეტნამში გაგზავნა მესანგრეთა ქვეგანაყოფი.

ახალი ზელანდიის მთავრობის პოლიტიკა ვიეტნამის მიმართ ეწინააღმდეგება მშვიდობის განმტკიცებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელების ინტერესებს.

საბჭოთა მთავრობას თავის მოვალეობად მიაჩნია ახალი ზელანდიის მთავრობის ყურადღება მიაპყროს იმას, რომ ახალი ზელანდიის მთავრობა, რომელიც დაადგა ვიეტნამის მიმართ ამერიკის შეერთებული შტატების აგრესიის მოწოდების გზას და აპირებს უშეალო მონაწილეობა მიიღოს ვიეტნამელი ხალხის წინააღმდეგ ომში, კისრულობს სერიოზულ პასუხისმგებლობას ამ მოქმედების შედეგებისათვის“.

ᲡᲐᲥᲐᲠᲗᲕᲔᲚᲝᲡ ᲡᲐᲥᲛᲔᲗᲐ ᲪᲔᲜᲢᲠᲐᲚᲣᲠᲘ ᲙᲝᲛᲘᲢᲔᲢᲘᲡ ᲞᲚᲔᲜᲣᲛᲘ

10 ᲘᲕᲜᲘᲡᲘᲡ მოსკოვში ბაიხანა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის VII პლენუმი. მოხსენება „ორგანიზატორული მუშაობა კომკავშირში აგიტაციათა პარტიის თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე“ გააკეთა საკავშირო ალკა ცენტრალური კომიტეტის პირველმა მდივანმა ს. პ. პავლოვმა. მოხსენების შემდეგ გაიმართა კამათი. (საკქესი).

ᲫᲛᲣᲠᲘ ᲗᲐᲜᲐᲛᲨᲠᲝᲛᲚᲝᲑᲐ

ᲐᲛᲐᲚ წინათ მოსკოვში მუშაობა დაამთავრა საბჭოთა კავშირ-ბულგარეთის ეკონომიური და მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მთავრობათშორისი კომისიის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის მუდმივი ქვეკომისიის მეორე სხვიამ. სხვიამ განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის 1965 წლის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის თემატიკა. მხარეებმა განიხილეს წინადადებანი და მოიწონეს სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერულ-ტექნიკური თანამშრომლობის განხორციელების დროებითი წესი.

მეორე სხვიამ განსაკუთრებული ყურადღება მიაქცია სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის სამეცნიერო-საკვლევი, საპროექტო-საკონსტრუქტორო და სხვა დარგობრივი ორგანიზაციების ორმხრივი დარგობრივი სამეცნიერო-ტექნიკური ურთიერთობის განვითარებას, განიხილა და დაამტკიცა სსრ კავშირისა და ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკის პროფილით მონაცვლავე სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტებისა და საპროექტო-საკონსტრუქტორო ორგანიზაციების თანამშრომლობის გეგმები შავი და ფერადი მეტალურგიის, ელექტროტექნიკისა და კვების მრეწველობის დარგში.

სხვიის მუშაობა მიმდინარეობდა მეგობრობის, ძმობის, გულითადობისა და სრული ურთიერთგაგების ვითარებაში.

• ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲐᲕᲙᲐᲡᲘᲘᲡ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘ •

ᲤᲔᲡᲢᲘᲕᲐᲚᲘᲡ ᲛᲔᲝᲗᲮᲔ ᲓᲦᲔ

ᲝᲗᲮᲘ დღეა საქართველოს კომპოზიტორები და მუსიკოს-შემსრულებლები თავიანთი უკანასკნელი წლების შემოქმედებასა და ხელოვნებას უჩვენებენ თბილისის მრავალრიცხოვან საზღვარგარეთელ სტუმრებს და მოკავშირე რესპუბლიკების წარმომადგენლებს. ამერიკაკავკასიის მეორე მუსიკალური ფესტივალის თბილისის ეტაპი იწყება. დღეს პროგრამით გათვალისწინებული ნაწარმოებების მოსმენის უკანასკნელი დღეა.

გუშინ საქართველოს კომპოზიტორთა კავშირის გამგეობის თავმჯდომარემ, სსრ კავშირის სახალხო არტისტმა **ალექსი მაჭავარიანმა** ფესტივალის სტუმრების პატივსაცემად მოაწყო მიღება ხელოვნების მუშაკთა სახლის საზაფხულო დარბაზში.

მიღების შემდეგ გაიმართა ტრადიციული პრეს-კონფერენცია — საუბარი და მსჯელობა ძირითადად წინა დღის კამერული კონცერტის და სიმღერების გარშემო.

პირველი სიტყვას ამბობს მოსკოველი მუსიკათმცოდნე **ალ. მედვედევი.** იგი უმთავრესად ლაპარაკობს სიმღერებზე — ბ. კვერნაძის „ქორეოგრაფიულ ნოველებზე“ და ა. ბალანჩივაძის „მწერზე“.

ჟურნალ „სოვეტსკაია მუზიკას“ რედაქტორის **ელ. გროშევას** აზრით, ფესტივალი მოწმობს, რომ საქართველოში რეალისტური მუსიკის ტრადიციები განუხრელად ვითარდება.

ლენინგრადელი მუსიკათმცოდნე **მ. ბიალიკი** შენიშნავს, რომ ვოკალურ ანსამბლ „გორდელას“ კარგი საქმის გაკეთება შეუძლია ქართული ხალხური მუსიკის ფართო პროპაგანდაში.

ყურადღებით ისმენენ პრეს-კონფერენციის მონაწილეები ლიტველი კომპოზიტორის ედ. ბალსისის, მოსკოველი კომპოზიტორის რ. ბუნინის, აგრეთვე ერევნელი ვიოლონჩელისტის გ. ადამიანის სიტყვებს.

კომპოზიტორმა პასკალ ბენტოიუმ (რუმინეთი) აღნიშნა, რომ თანამედროვე ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებებში იგრძნობა ტენდენცია, ეროვნული შემოქმედება მსოფლიო მუსიკალური კულტურის მონაპოვრებს დაუკავშირონ.

პრეს-კონფერენციის შემდეგ სტუმრებმა მოისმინეს ქართველ კომპოზიტორთა ნაწარმოებების ჩანაწერები, ნახეს დოკუმენტური და მოკლემეტრაჟიანი მხატვრული ქართული ფილმები.

საღამოს სტუმრებმა კონსერვატორიის დიდ დარბაზში მოუსმინეს სიმფონიური მუსიკის კონცერტს, ხოლო ვ. აბაშიძის სახელობის მუსკომედიის თეატრში — გ. ლაბაძის ოპერეტა „შესანიშნავ სამეულს“.

ლ. კიკნაძე.

ᲥᲐᲠᲗᲣᲚᲘ ᲛᲣᲡᲘᲙᲐ ᲛᲣᲡᲘᲙᲐᲚᲣᲠᲘ ᲡᲘᲡᲮᲐᲠᲗᲚᲘᲡ ᲛᲘᲛᲐᲠᲗᲣᲚᲘ

მუსიკალურ ფესტივალზე ჩამოვიდა მრავალი სტუმარი, რომელთა შორის არიან ქართული მუსიკის მეგობრები ჩეხოსლოვაკიიდან, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკიდან, პოლონეთიდან, ბულგარეთიდან და სხვა მოძმე ქვეყნებიდან. ჩვენი გაზეთის კორესპონდენტმა სთხოვა ფესტივალის საზღვარგარეთელ სტუმრებს გამოეთქვათ თავიანთი შთაბეჭდილებები „ამერიკაკავკასიის მუსიკალური გაზაფხულის“ თბილისის ეტაპის შესახებ.

ეი რა თქვეს მათ:

ᲘᲕᲐᲜ ᲞᲐᲠᲘᲙᲘ,

ჩეხოსლოვაკია, კომპოზიტორი.

ᲣᲜᲓᲐ გამოგიტყდეთ, რომ ქართული მუსიკის დიდი მოყვარული ვარ. ფესტივალის დღეებში საშუალება მეძლევა კიდევ უფრო ახლოს გავეცნო ქართველი ხალხის უძველეს და უმშვენიერეს მუსიკალურ კულტურას.

უდიდესი სიამოვნება განვიცადე თბილისის სახელმწიფო კონსერვატორიის თვითმოქმედი ანსამბლის „გორდელას“ მოსმენით. „ხასანბეგურა“. ჩემი აზრით, სიმფონია უფროა, ვიდრე სიმღერა, და ამ ურთულეს სიმფონიას ანსამბლი მაღალი ოსტატობით ასრულებს. მეტად კმაყოფილი დავრჩი ო. თაქთაქიშვილის, რ. გაბიჩვაძის, რ. ქარუხნიშვილის, ნ. მამისაშვილის, ს. ნასიძისა და გ. ყანჩელის ახალი ნაწარმოებებით. მათ მუსიკალურ ქმნილებ

ᲡᲝᲤᲚᲘᲡ ᲐᲥᲢᲘᲕᲘᲡᲢᲘ

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

ᲧᲕᲔᲚᲐᲤᲔᲠᲘ გიზიდავთ და გიტაცებთ ამ წითელ კუთხეში. ლოზუნგებიც, პლაკატებიც, ფოტოგამოფენებიც, დიაგრამებიც... მათ შორის ზოგიერთი აგიტატორ ჯოელიტა მდივნიშვილს საკუთარი ხელით მოუწყვია. ვინ იცის, რამდენი საუბარი გაუმართავს მას აქ თავისი საგიტაციო მუშაობის ოთხი წლის მანძილზე, მაგრამ ამ საჯარო გამოსვლისათვის იგი მაინც განსაკუთრებული მონდომებით ემზადებოდა. უწინარეს ყოვლისა, გულდასმით შეისწავლა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის მასალები, ესაუბრა მეურნეობის ხელმძღვანელ მუშაკებს, მოწინავე ადამიანებს, გაეცნო მეურნეობის უახლოეს ეკონომიურ მაჩვენებლებს, აწონ-დაწონა რეზერვები. ახლა ამ მსმენელთაგან, რომლებიც წითელ კუთხეში აგიტატორთან შესახვედრად მოსულან, ძნელად მოიძებნება ვინმე, რომ არ იცნობდეს პლენუმის ძირითად მასალებს. მაგრამ თელეთელ მეცხოველეებს აგიტატორის ამ საუბარზე მაინც მოეჩარებოდათ, რადგან იცოდნენ, რომ იგი დღეს უფრო დაწვრილებით, დამაჯერებლად ეტყოდა ამის შესახებ. მეცხოველეთა ინტერესს ისიც ზრდიდა, რომ საგიტაციო საუბარზე მოვიდნენ მეურნეობის დირექტორი გ. დალაქიშვილი, პარტბიუროს მდივანი რ. ჯაველიძე, მთავარი ზოოტექნიკოსი ვ. ბეგიაშვილი.

და ასეც მოხდა. საგიტაციო საუბრის დროს მარტო მიღწევები როდი აღუნუსხავთ. გაჩაღდა მსჯელობა რეზერვებზე, გადაუჭრელ ამოცანებზე, საჭირბოროტო საკითხებზე.

— თქვენ იცით,—მიმართა აგიტატორმა მსმენელებს,—რომ პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმმა ფართო პორიზონტები გადაშალა ჩვენი ინიციატივისათვის. ყოველმა მეურნეობამ თვითონ უნდა გადაწყვიტოს რა და რამდენი უნდა დათესოს, რა და როგორ უნდა აიშენოს. ჩვენთვის ეუცილებელია სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების დამზადების სახელმწიფო გეგმების შესრულება, რომლებიც ამჟერადან სტაბილური იქნება და რამდენიმე წლისათვის არის გათვალისწინებული. ამას დაუმატეთ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების შესასყიდი ფასების გადიდება, გადასახადების გადახდის გაცილებით შეღავათიანი პირობები, აგრეთვე სხვა ღონისძიებანი, რომლებსაც პარტია და მთავრობა ამორციელებენ მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესაბამისად, და თვალნათლივ დაინახავთ, თუ რა დიდი პერსპექტივა ისახება ახლა თვითეული მეურნეობის წინაშე.

ჯ. მდივნიშვილი გადავიდა თელეთის საბჭოთა მეურნეობის საარსებო ამოცანებზე. მუშები მის საუბარს ყურადღებით ისმენდნენ.

— თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა, — განაგრძო აგიტატორმა, უწუალოდ ეკვრის საქართველოს დედაქალაქს. ამიტომ, ბუნებრივია, მეურნეობის კოლექტივის წინაშე დგას ამოცანა უზრუნველყოს თბილისი საკმაო ახალი რძით. მეურნეობის 700-კაციანი კოლექტივი წლითიწლობით ზრდის მიწათმოქმედებისა და მეცხოველეობის კულტურას. აუმჯობესებს მაჩვენებლებს. მაგრამ ეს მაჩვენებლები ამასთანავე ნათელყოფენ უწინარეს ყოვლისა მეურნეობის დიდ შესაძლებლობებს, რომლებიც აქამდე სრულად არ იყო გამოყენებული.

ხმა ადგილიდან:—როგორია პერსპექტივები?

აგიტატორი: — მყარი სამეურნეო გეგმების შემოღება მეურნეობის კოლექტივს საშუალებას მისცემს სრულყოფილად გამოიყენოს რეზერვები და შესაძლებლობანი, ჩაიყენოს ისინი სიუხვის სამსახურში. სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ახალი ფასების დაწესება მუშაობაში დიდ სტიმულს იძლევა. წელს მეურნეობა დაგეგმილია 40 ათასი მანეთის ზარალით მაგრამ შესყიდვის ახალი ფასები იმის გარანტიაა, რომ მან სახელმწიფოს 60 ათასი მანეთი მოგება მისცეს. როგორც კაანგარიშებამ ცხადყო, მარცვლეულის წარმოებისა და მისი შესასყიდი ფასების გადიდება მეურნეობის მეცხოველეობასაც რენტაბელურს გახდის. გათვალისწინებულია უახლოეს წლებში რძისა და სხვა პროდუქტების წარმოების 2-3-ჯერ გადიდება.

ხმა ადგილიდან:—ეს ძნელი იქნება ასეთი საკვები ბაზის პირობებში.

აგიტატორი: — გეთანხმებით. მაგრამ განზრახულია საკვები ბაზის შესაბამისად განმტკიცება. დღემდე მეურნეობაში ცუდად იყო დაყენებული საკვების წარმოება. ნათეს სტრუქტურაში ბალახების მარტო 3 პროცენტი ფართობი ეკავათ. არ იყო სრულყოფილი რაციონი მერძეული პირუტყვისათვის. ამიერიდან სხვანაირად იქნება საქმე: თელეთის მექანიკური წყალსაჩაჩავი მეურნეობას საშუალებას მისცემს შექმნას მტაცეი საკვები ბაზა—დიდ ფართობებზე დათესოს მრავალწლიანი ბალახები და საკვები კულტურები. შეიქმნება მწვანე კონვეიერი. უკვე გადაიდგა პირველი პრაქტიკული ნაბიჯები. სამარცვლედ და სასილოსედ დათესილია 950 ჰექტარი სიმინდი. შანდაკდება იონჯის დასათესი 100 ჰექტარი მიწა.

ᲐᲒᲘᲢᲐᲢᲝᲠᲘᲡ ᲪᲝᲪᲮᲐᲚᲘ ᲡᲐᲣᲑᲐᲠᲘ

მეცხოველეობის აღმავლობის დიდი რეზერვია ხელოვნური დაჯვარედინების სწორი ორგანიზაცია, რაც წელს იქნა მიღწეული.

ხმა ადგილიდან:—რას იტყვით ჩვენი ბრიგადის მეცხოველეების ჯვალზე?

აგიტატორი:—თქვენი ბრიგადა ნამდვილად ამართლებს კომუნისტური შრომის სახელს, რომელიც მან ჯერ კიდევ ამ სამი წლის წინათ მოიპოვა. ბრიგადის ყოველი წევრი შრომასა და ყოფაცხოვრებაში მისაბაძ მაგალითს იძლევა. ყველა მათგანი გადაჭარბებით ასრულებს გეგმებს. ბრიგადამ წელს გეგმით 3.480, ხოლო ვალდებულებით 4.000 ცენტნერი რძე უნდა მოწველოს. უკვე ჩაბარებული აქვს ვალდებულების 50 პროცენტზე მეტი, რაც ბევრად აღემატება გასული წლის მაჩვენებელს. ახლა ჩვენი დედაქალაქი მეურნეობიდან ყოველდღიურად იღებს 7.ტონა რძეს. წარმატებით მიმდინარეობს და დასასრულს უახლოვდება დახმოიანება. ტყუილად კი არ მიიღეთ საბჭოთა მეურნეობის დირექციისა და მუშათა კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშა, აგრეთვე რადიომიმღები. თქვენი ბრიგადა ერთ მეგობრულ, მონოლითურ კოლექტივს წარმოადგენს. აგერ მეოთხე წელია აქ ვმუშაობ და არ მახსოვს შემთხვევა, რომ ბრიგადას ან ცალკეულ მეცხოველეს გეგმა არ შეესრულებინოს, ისინი ჭირსა და ლხინში ერთად არიან, ეხმარებიან ერთმანეთს როგორც საწარმოო გეგმების შესრულებაში, ისე ცხოვრებაში. აქ არასოდეს არ ყოფილა ამორალური ქცევის შემთხვევები.

გ. დალაქიშვილი (მეურნეობის დირექტორი): — ეს ყველაფერი კარგია. მაგრამ ცუდია ის, რომ ბრიგადაში ზოგჯერ დაბალია რძის ხარისხი. პიგიენაც სათანადო დონეზე არა დგას. ამის შედეგად ადგილი აქვს რძის დაძაბუნების შემთხვევებს. ზოგიერთი მწყემსი არ იცავს ნაკვეთმორიგიგობითი ძოვების წესებს. განწყვეტილზე არ აყენებს მაღალპროდუქტიულ პირუტყვს.

წელს ბრძოლა მეცხოველეობის განვითარებაში ახალი წარმატებებისათვის ახალ, განსაკუთრებით ხელსაყრელ პირობებში დავიწყეთ. პარტიისა და მთავრობის ზრუნვა სასოფლო-სამეურნეო წარმოების აღმავლობისათვის უდიდესი დახმარებაა სოფლისადმი. იგი მიმართულია კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის აღმავლობისაკენ, აღფრთოვანებს სოფლის მშრომელებს ახალი სასახელო საქმეებისათვის. მეურნეობის დირექცია და პარტიული ორგანიზაცია კიდევ უფრო გააძლიერებენ მუშაობას შვიდწლედის დამამთავრებელ წელს ახალი მიღწევების მოპოვებისათვის. ამ საქმეში მათ ყველამ მეტი დახმარება უნდა გაუწიოს.

ძ. ყაზარავი (მწველავი):— ჩვენი კოლექტივი, როგორც ყოველთვის, მზად ყოფილა შემდგომშიც გაორკეცებული ენერგიით იმუშაოს დავალებათა შეასრულებლად. მაგრამ ამასთანავე საჭიროა მეურნეობის დირექციამ, პარტბიურომ, მუშათა კომიტეტმა მეტი იზრუნონ ჩვენი სწარმოო და საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. უკვე ექვსი წელია მეურნეობა არსებობს და დღემდე მუშათა სასადილოს გახსნას ვერ ვღლიესავ.

ხმები ადგილიდან: — სწორია!

— სწორია და იმიტომაც ვამბობ,—გააგრძობს ყაზარავი.—სასადილოს გახსნით ჩვენც მოვიგებთ და არც საზოგადოებრივი კვების ორგანიზატორები წაგებენ. მუშათა კულტურული დასვენების საქმეშიც ყველაფერი რიგზე როდია. გვირჩევნეთ მეტი სასოფლო-სამეურნეო ფილმები!

აგიტატორი:—ვფიქრობ, მეურნეობის ხელმძღვანელი მუშაკები, რომლებიც ჩვენს საუბარს ესწრებიან, შეეცდებიან ამასაკითხების მოგვარებას.

რ. ჯაველიძე (პარტბიუროს მდივანი): — სრული იმედი გქონდეთ!

საქმიანი იყო მეცხოველეების გ. კახურაშვილის, მ. ზალიევის, ბ. ოლკიევის, მეურნეობის მთავარი ზოოტექნიკოსის ვ. ბეგიაშვილის გამოსვლები, რომლებმაც შეავსეს აგიტატორის საუბარი. მათ შეაქეთ თავიანთი წინადადებები, შენიშვნები. შესწორებები, აგიტატორი ჯ. მდივნიშვილი მონდომებით იწერს ყველაფერს ბლოკნოტში.

— ჩვენი კოლექტივი აქტიურად შეუდგა პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ბრძოლას, — ამბობს შემდეგ აგიტატორი. — ეს ნათლად ჩანს მისი შრომითი საქმეებიდან. წელს, წინა წლებთან შედარებით, უფრო ორგანიზებულად მოეწყო საგაზაფხულო თესვა, წარმატებით მიმდინარეობს ნათესების დამუშავება, მეცხოველეობა ახალი აღმავლობის გზაზეა. მარტო ჩვენს დედაქალაქს მეცხოველეები ახლა ყოველდღიურად ორნახევარი ტონით მეტ რძეს აძლევენ. ვიდრე გასული წლის შესაბამის პერიოდში. ჩვენი ვალია უნარიანად გამოვიყენოთ სახელმწიფოს უდიდესი დახმარება, უფრო დაძაბულად ვიშრომოთ.

— ამას ვესწრაფვით ჩვენც, — გაისმა ხმები ადგილიდან.

თითქმის ერთ საათს გაგრძელდა აგიტატორის მორიგი შეხვედრა მეცხოველეებთან და თვითეულმა მათგანმა ამის შემდეგ კიდევ უფრო ღრმად შეიგნო ჩვენი გეგმების სიდიადე, თვითეული ადამიანის დიდი წვლილი მათ წარმატებით შესრულებაში.

საუბარი დამთავრდა და წველის დროც მოვიდა. მეცხოველეებმა მიუალერსეს ჯერ ნებსავსე პირუტყვს და საწველი აპარატები მოუმარჯვეს. ჩარიეს დენი და რძის მრავალი ნაკადული ჩუხჩუხით დაიძრა...

* * *

ჩვენ აქ ერთი აგიტატორის ერთი საუბარი ჩავიწერეთ. მაგრამ მეურნეობაში 13 აგიტატორია. ისინი სოფლის საუკეთესო აქტივისტები — კოლმეურნეობის სპეციალისტები, მასწავლებლები არიან. გ. მეგულაშვილი, ზ. როსნაძე, გ. მდივანი, ბ. აფრიამოვი, გ. ხარატიშვილი უნარიანად, დამაჯერებლად უხსნიან საბჭოთა მეურნეობის მუშებს პარტიის ცენტრალური კომიტეტის მარტის პლენუმის გადაწყვეტილებებს, ეძიებენ მსმენელებთან საუბრის მისაწვდომ ფორმებს. მათ მუშაობას კარგად წარმართავს მეურნეობის პარტბიურო.

პლენუმის მასალებს მიეძღვნა აქ ეკონომიური კონფერენცია, ლექციების ციკლი და ღია პარტიული კრება. გამოცოცხლდა თვალსაჩინო აგიტაცია, ძირეული პრესის მუშაობა. კომუნისტებმა და უპარტიო აქტივისტებმა პარტიული განათლების ქსელში შეისწავლეს პლენუმის მასალები სასწავლო პროგრამის პარალელურად.

ჯელიფერი ეს ამაღლებს ადამიანთა შრომითს და პოლიტიკურ აქტივობას, რაც საბოლოო ანგარიშში თავს იჩენს საწარმო პროგრამის შესრულებისათვის ბრძოლაში.

წინათ გახრიოკებულ თელეთ-კუმისის ვაკეზე სიცოცხლე დაუმკვიდრებია მექანიკური წყალსაჩაჩავით მოსულ მტკვრის წყალს. საამო სანახავია 40 ჰექტარზე ახალგაშენებული ვენახი, 170 ჰექტარი ხეხილის ბაღი, 100 ჰექტარზე დათესილდარგული ბოსტნეული, პურეულის ნათესები, 50 ჰექტარი ქარსაცავი ზოლები. მიმდინარეობს მეცხოველეობის ფართო ბინათმშენებლობა. მაგრამ ყველაფერი ეს მხოლოდ დასაწყისია. თქვენ უნდა ნახოთ თელეთის მერძევეობის საბჭოთა მეურნეობა 4-5 წლის შემდეგ, როცა იგი რამდენჯერმე გაზრდის წარმოებას, კიდევ უფრო აშენდება და დამშვენდება!

გ. ზუკაკიშვილი.

ᲛᲝᲒᲒᲕᲔᲪᲘᲗᲝ მეტი და მაღალხარისხოვანი საიზოლაციო მასალები! — ასეთი მოთხოვნა მოაქვს ყოველდღე ტელეფონსაც და ტელეგრაფსაც საქართველოსა და ამერიკაკავკასიის სხვადასხვა კუთხიდან თბილისის ელექტროსაიზოლაციო მასალათა ქარხანაში.

მოთხოვნის ესოდენ ზრდას ქარხნის კოლექტივი ანგარიშს უწევს. აქ მაისის გეგმა 4,8 პროცენტის გადაჭარბებით შესრულდა.

ᲡᲣᲠᲐᲗᲗᲖᲔ: მიკალენტის მეორე საამქროში გეგმის გადაჭარბებით შესრულებაში დაწინაურებული ბრიგადა. მარჯვნიდან — რიმა ცხვარაძე (ბრიგადირი), ნადეჟდა ტერონოსოვა, ცისანა დვალიშვილი, იზოლდა თეიმურაზოვა და მარგარიტა მშვედლიშვილი.

ფოტო შ. ჩხეტიანისა.

ᲓᲔᲙᲐᲣᲢᲘᲡᲢᲔᲑᲘ ᲖᲠᲣᲜᲐᲕᲔᲜ ᲡᲙᲝᲚᲔᲑᲘᲡᲐᲗᲕᲘᲡ

ᲙᲝᲚᲐ, მომავალი თაობის კომუნისტური სულისკვეთებით აღზრდა, ახალი ადამიანის გამოწრთობა საბჭოეთის, დეპუტატების მუდმივი საფიქრებელი და საზრუნავია.

ზესტაფონში უკვე დაიწყეს ახალი სასწავლო წლისათვის მზადება. ამ საკითხზე იმსჯელეს რაისაბჭოს აღმასკომის სხდომაზე. ჩატარდა სკოლების დირექტორთა და საშეფო ორგანიზაციების ხელმძღვანელთა თათბირი, დასახა ღონისძიებანი, მაგრამ ეს საქმის მხოლოდ დასაწყისია. დეპუტატებმა გადაწყვიტეს რაისაბჭოს სესიაზეც განეხილათ ეს საკითხი.

სესიისათვის მზადება აღრე დაიწყეს. საკითხის შესწავლაში დეპუტატებთან ერთად მონაწილეობდნენ მასწავლებლები, აქტივი. სესიაზე მოხსენებით გამოვიდა ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასკომის სახალხო განათლების განყოფილების გამგე, დეპუტატი მ. ჩიქოვანი.

სესიაზე სახარბიელო სურათი როდი გადაშალა. ბოსლეების საშუალო, ცხენთაოსნის, ცხრაწყაროს რვაწლიანი, ნიფლავაკის დაწყებითი სკოლები ავარიულ მდგომარეობაშია, ხოლო ბევრი სკოლა კაპიტალურ და მიმდინარე შეკეთებას მოითხოვს. მშენებლობა, კოლმეურნეობებმა, საშეფო ორგანიზაციებმა აქედანვე თუ არ მოჰკიდეს ხელი სკოლების შეკეთებას, ახალ სასწავლო წელს პირველრიგნილები შეხვდებიან.

შეფობის კარგი ტრადიცია აქვთ ძირძველს ცეცხლგამძლე ნაწარმის ქარხნის, ბოლოს ეს ნაკლოვანება ბოლოს გამოსწორდა.

ვერც კავშირგაბმულობის მანგლისის განყოფილების (უფროსი დ. უფლისოფი) მუშაკებმა გამოიჩინეს კარგი სტუმართმოყვარეობა. სეზონის გახსნის დღეებში მთელ მანგლისში ვერ გაიგონებდით რადიოს ხმას.

საერთოდ დაბა მანგლისს ჯერ კიდევ აკლია მზრუნველი ხელი. კეთილმოუწყობელია ქუჩები, წვიმიან ამინდში ზოგიერთი ადგილის გავლაც კი ჭირს. ყველგან თვალში გეცემათ უსუფთაობა. აქ ჯერ კიდევ არავის უფიქრია კანალიზაციის მოწყობაზე.

კურორტის მშვენებაა ფიქვნარის ჭალა. იგი მანგლისის დამსვენებელთა საყვარელი ადგილია. მაგრამ ეს შესანიშნავი ბუნებრივი პარკი შესაფერად არ არის გამოყენებული. ოთახებიანი ბინებიც ცარიელია. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სკოლების ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და საათბობით მომმარაგებისათვის.

— ტაბაკინის რვაწლიან სკოლაში უნდა განახლდეს ოთხი ოთახი, შეკეთდეს მეორე სვირის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის, თავმჯდომარე, დეპუტატი გ. ბერგვაძეს, ქალაქის მესამე საშუალო სკოლის დირექტორმა ბ. კუპატაძემ, დეპუტატებმა ა. ნიჭაბაძემ, გ. ბერბიჩაძემ, ქ. გელესიანმა. დასასრულ სტუდიეთ გამოვიდა ზესტაფონის რაიონული საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე, დეპუტატი მ. სარალიძე.

ყოველი დეპუტატის სიტყვაში გაისმოდა სკოლაზე ფიქრი და ზრუნვა. სესიის მიერ დასახული ღონისძიებანი უეჭველად უნდა შესრულდეს.

ყოველმხრივ მომზადებული შევხვდეთ ახალ სასწავლო წელს.

პ. ჟიოკაძე.

„კომუნისტის“ საკ. კორ.

ᲡᲐᲡᲙᲝᲚᲝ ᲛᲨᲔᲜᲔᲑᲚᲝᲑᲐ ᲡᲐᲮᲐᲚᲮᲝ ᲡᲐᲥᲛᲔᲐ

მარმარილოს მაღაროს და სხვ. კოლექტივებს. მათი რიცხვი უნდა გაფართოვდეს, ხოლო შეფობა საქმიანი უნდა გახდეს.

წელს სერიოზულად უნდა განმტკიცდეს სკოლების მატერიალური ბაზა. განზრახულია რვა სასკოლო შენობას ეფუძნოს 30 სასკოლო ოთახი, ხოლო ქალაქის მესამე და მეოთხე სკოლებს — მოზრდილი კორპუსები. გაგრძელდება ცკალითისა და ოლმის სკოლებზე ოთახების მიშენება. უნდა დამთავრდეს ალავერდის, ქვალეთუბნის, ძლიერდანეთის სკოლებზე მიშენებითი სამუშაოები. აქვე უნდა ითქვას, რომ, გარდა ქალაქის მესამე და მეოთხე სკოლებისა, მისაშენებელი სამუშაოები ირსად არ დაუწყიათ.

ერთობ ცუდი მდგომარეობაა სიბავშვო ბაღებში. შემოუღობავი და ქვიანი მოუწყობელია ზედა სავარის, ძირულისა და მეორე სვირის სიბავშვო ბაღების ეზოები. ბევრი რამ უნდა გაკეთდეს სკოლების ინვენტარით, სახელმძღვანელოებითა და საათბობით მომმარაგებისათვის.

— ტაბაკინის რვაწლიან სკოლაში უნდა განახლდეს ოთხი ოთახი, შეკეთდეს ტაბაკინის ... [illegible] ... ოთახი, ... [illegible] ... ოთახი, ... [illegible] ... ოთახი,

საბჭოთა დელეგაცია პარიზში

პარიზი, 9 ივნისი. (საკდესი), საავიაციო და კოსმოსური ტექნიკის 26-ე საერთაშორისო გამოფენაში მონაწილეობისათვის დღეს პარიზში ჩამოვიდა საბჭოთა დელეგაცია საავიაციო მრეწველობის მინისტრის პ. ვ. დემენტიევის მეთაურობით, დელეგაციის შემადგენლობაში არიან სსრ კავშირის კოსმონავტი მფრინავი ი. ა. გაგარინი, გენერალური კონსტრუქტორები ა. ნ. ტუპოლევი, ა. ი. მიკოიანი, ა. ს. იაკოვლევი, მ. ლ. მილი და ო. კ. ანტონოვი, სსრ კავშირის სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდლის მოადგილე გენერალ-პოლკოვნიკი ა. ნ. პონომარიოვი.

მოქმედების ერთობა ბრძოლის აუცილებელი პირობაა

ჯაკარტა, 9 ივნისი. (საკდესი). „ყველა კომუნისტისა და სხვა რევოლუციური და პროგრესული ძალების მოქმედების ერთობა აუცილებელი პირობაა იმისა, რომ განვითარდეს ბრძოლა კოლონიალიზმის, იმპერიალიზმისა და რეაქციის წინააღმდეგ, აგრეთვე მთელი მსოფლიოს მშვიდობის დასაცავად". ეს ნათქვამია კომუნიკეში, რომელსაც ხელი მოაწერეს აქ მოლაპარაკების შემდეგ იტალიის კომუნისტური პარტიისა და კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის დელეგაციებმა.

კომუნიკეში ხაზგასმით აღინიშნულია, რომ ამ ერთობას უნდა მიაღწიონ „მასების მობილიზაციისა და მსოფლიოს ყველა სახალხო და პროგრესული სახელმწიფოს, მთავრობისა და მშვიდობის ორგანიზაციის მტკიცე, საბრძოლო ანტიიმპერიალისტურ პოზიციაზე „დაყრდნობით". „კომუნისტური და მუშათა პარტიების ამოცანა, — აღნიშნულია კომუნიკეში, — ის არის, რომ რაც შეიძლება მეტი წევლი შეიტანონ მოქმედების ამ ერთობის მიღწევის საქმეში, განსაორციელონ მარქსიზმ-ლენინიზმისა და პროლეტარული ინტერნაციონალიზმის პრინციპები".

კომუნიკეში ნათქვამია, რომ ორივე პარტიას საჭიროდ მიაჩნია მხარი დაუჭირონ აზიის, აფრიკისა და ლათინური ამერიკის ხალხთა ეროვნულ-განმათავისუფლებელ მოძრაობას, კერძოდ, აღნიშნულია, თუ რა „დიდი მნიშვნელობა აქვს იმას, რომ დახმარება გაუწიონ და აქტიურად დაუჭირონ მხარი ვიეტნამისა და დომინიკოს რესპუბლიკის ხალხებს — იმპერიალისტთა სამარცხვინო აგრესიის მსხვერპლთ".

ორივე დელეგაციამ დაადასტურა, რომ საჭიროა ბრძოლა „თითოეული ქვეყნის იმ უფლების დასაცავად, რომ თვითონ განაგებდეს თავის ბედს".

კომუნიკეში აღნიშნულია აგრეთვე, თუ რა დიდი მნიშვნელობა აქვს „ევროპის კაპიტალისტური ქვეყნების პროლეტარიატისა და პროგრესული ძალების მოქმედების გაფართოებას, რომლებმაც დიდმნიშვნელოვანი როლი უნდა შეასრულონ იმპერიალიზმის წინააღმდეგ და სოციალიზმისათვის ბრძოლაში".

კომუნიკეს ხელი მოაწერეს იმ მოლაპარაკების შემდეგ, რომლიც გაიმართა ორი პარტიის დელეგაციებს შორის 2, 3 და 4 ივნისს ძმობისა და გულთადი მეგობრობის ვითარებაში. მოლაპარაკებაში მონაწილეობა მიიღეს კუბის სოციალისტური რევოლუციის ერთიანი პარტიის ეროვნული ხელმძღვანელობის წევრებმა, მათ შორის ფიდელ კასტრომ. იტალიის დელეგაციას მეთაურობდა იტალიის კომუნისტური პარტიის სამდივნოს წევრი მარიო ალიკატა.

სსრკ-თან ერთად ცხოვრება

განიხილეს დიდმნიშვნელოვანი საკითხები

პრაღა, 10 ივნისი. (საკდესი). ჩილეს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივანი ლ. კორვალანი ამ დღეებში ეწვია ჩეხოსლოვაკიას, სადაც შეხვდა ჩეხოსლოვაკიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანს ვ. კოუიკს. მათ ერთმანეთს გააცვნეს ორივე პარტიის საქმიანობა. საუბრის დროს დაადასტურეს, რომ ორივე მოძმე პარტიას ერთნაირი თვალსაზრისი აქვს თანამედროვე საერთაშორისო მდგომარეობისა და საერთაშორისო კომუნისტური მოძრაობის აქტუალურ საკითხებზე.

ავსტრალიის კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმი

კანბერა, 9 ივნისი (საკდესი). ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის პლენუმზე, რომელიც აქ გაიმართა, ამხანაგი ლორენს შარკი გაათავისუფლეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის გენერალური მდივნის მოვალეობისაგან ჯანმრთელობის გაუარესების გამო.

ცენტრალური კომიტეტის პლენუმმა აღნიშნა ამხანაგ შარკის დიდი დამსახურება ავსტრალიის მუშათა კლასის წინაშე, მისი აქტიური მოღვაწეობა საერთაშორისო მოძრაობაში და აირჩია იგი ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ.

ავსტრიის კომუნისტური პარტიის გენერალურ მდივნად პლენუმმა ერთსულოვნად აირჩია ამხანაგი ლორი აარონსი.

ლორი აარონსი დაიბადა 1918 წელს. ახალგაზრდობიდანვე აქტიურად მონაწილეობდა მუშათა მოძრაობაში, 1932 წელს შეედგა კომკავშირში, 1936 წელს — კომპარტიაში. იყო პარტიულ სამუშაოზე ადელაიდაში, სიდნეიში, ნიუკასლში. 1954 წელს აირჩიეს ახალი საბჭოთა უელსის შტატის პარტიული ორგანიზაციის მდივნად და იმავე წელს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივნად. 1961 წელს, ავსტრალიის კომპარტიის XIX ყრილობაზე, ამხანაგი აარონსი აირჩიეს ავსტრალიის კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილედ. ლორი აარონსი ამხანაგ შარკისთან ერთად არაერთხელ ყოფილა პარტიის წარმომადგენელი მუშათა და კომუნისტური პარტიების საერთაშორისო თათბირებზე. 1965 წლის მარტში იგი იყო კომუნისტური და მუშათა პარტიების მოსკოვის საკოსულტაციო შეხვედრაზე.

გაჩნდა კუნძული ოკეანეში

რეიკიავიკი, 10 ივნისი. (საკდესი). გუშინ ისლანდიის სახელმწიფო ალმი აღმართეს ახალ კუნძულზე ისლანდიის სანაპიროს მახლობლად. სულ რამდენიმე დღის წინათ გაჩნდა ეს კუნძული ოკეანეში. ლავის ნაკადი, ქვისა და ფერფლის წვიმა დღემდე განუწყვეტლივ იფრქვევა ვულკანის კრატერიდან.

კუნძული თანდათანობით იზრდება, ახლა მისი სიგრძე უკვე 170 მეტრია, სიმაღლე კი 16 მეტრი ოკეანის დონიდან.

ქვამლიხა და ორთქლის ბოლქვების მიუხედავად, ორი ახალგაზრდა ისლანდიელი მეზღვაური პატარა გასაბერი რეზინის ნავით მიუახლოვდა კუნძულის ნაპირს და აღმართა იქ ისლანდიის სახელმწიფო ალმი.

ნიუ-იორკი, 10 ივნისი. (საკდესი).

სატელევიზიო ფესტივალი პრაღაში

პრაღა, 10 ივნისი. (საკდესი). დიდი წარმატება ჰქონდა გუშინ პრაღის მეორე საერთაშორისო სატელევიზიო ფესტივალზე საბჭოთა სატელევიზიო ფილმს „ეფანელ ოკას". ეს სურათი ესტონელი რეჟისორის ვ. არუოთის და სცენარისტის ბ. ენსტის ნამუშევარია. სურათი გვაცნობს ცნობილი ესტონელი მხატვრის შემოქმედებას.

საბჭოთა კავშირმა ფესტივალის კონკურსზე წარმოადგინა 11 ფილმი.

პონდურასის კომუნისტთა მოწოდება

ჰავანა, 9 ივნისი. (საკდესი). ჰონდურასში არალეგალურად ეოცელდება ჰონდურასის კომუნისტური პარტიის მოწოდება ხალხისადმი იბრძოლოს რეაქციის წინააღმდეგ, დემოკრატიულ უფლებათა აღდგენისათვის.

როგორც პრესსა ლატინს სააგენტო იუწყება, მოწოდებაში აღნიშნულია, რომ 1963 წლის 3 ოქტომბერს სახელმწიფო გადატრიალების შემდეგ წარმოშობილი პოლიტიკური კრიზისი კვლავ არსებობს, მიუხედავად იმისა, რომ შეიქმნა ეგრეთ წოდებული კონსტიტუციური ასამბლეა, რომელიც აირჩიეს თაღლითური არჩევნების დროს. გაიღვიძა რეპრესიებ, იზრდება სიძვირე, ელეხებს აგდებენ თავიანთი მიწებიდან.

დოკუმენტში აგრეთვე ხაზგასმულია, რომ ტრადიციულ ბურჟუაზიულ პარტიებს წინააღმდეგობანი ღრმავის, ხოლო ხალხსა და მთავრობას შორის, რომლის მთელ საქმიანობას ამერიკის საელჩო ხელმძღვანელობს, ღრმავდება უფსკრული.

ჰონდურასის კომუნისტური პარტია მოუწოდებს ამ ქვეყნის მთელ ოპოზიციურ ძალებს შეკავშირდნენ და ერთიანი ფრონტით გაილაშქროს რეპრესიების წინააღმდეგ.

მშვიდობისა და უშიშროებისათვის

ნ. ტ. ფედორენკოს გამოსვლა

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება უდიდეს შესაძლებლობას ქმნის ორგანიზაციის საქმიანობის აქტიურიზაციისათვის. სწორედ ამ შესაძლებლობათა გამოყენების გზით, და არა წესდების უგულებელყოფისა თუ გადასინჯვის გზით უნდა ვეძებოთ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ეფექტიანობის გაძლიერების საშუალებანი. ნ. ტ. ფედორენკომ ხაზი გაუსვა, რომ წესდების შესაბამისად მხოლოდ უშიშროების საბჭოს შეუძლია გადაწყვეტოს საკითხები, რომლებიც დაკავშირებულია მოქმედებასთან საერთაშორისო მშვიდობისა და უშიშროების შენარჩუნებისათვის და დამწყრეთ მოაგონა: ამავე დროს საბჭოთა კავშირი მხარს უჭერს იმას, რომ სავსებით გამოიყენონ ის უფლებები ამ დარგში, რომელსაც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება აძლევს გენერალურ ასამბლეასო.

შემდეგ მან აღნიშნა ის დიდმნიშვნელოვანი ამოცანები, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წინაშეა დასახული კოლონიალიზმის სისტემის ლიკვიდაციის, რასიზმის აღმოფხვრის საქმეში და განიარაღების დარგში. მან თქვა აგრეთვე, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის განიარაღების კომისია, რომლის სხდომები ახლა მიმდინარეობს და, სადაც საბჭოთა დელეგაციამ წამოაყენა კონკრეტული წინადადებანი, მოწვეულია სსრ კავშირის ინიციატივით.

საბჭოთა წარმომადგენელმა აღნიშნა, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდება ერთ-ერთ ადგილზეა ნაგები თავის იუბილეს, ორგანიზაციის წესდების ხელმოწერის 20 წლისთავს.

სსრ კავშირის მუდმივმა წარმომადგენელმა გაერთიანებული ერების ორგანიზაციაში ნ. ტ. ფედორენკომ გუშინ სიტყვა წარმოთქვა საუზმეზე, რომელიც მის პატივსაცემად გამართა გაერთიანებული ერების ორგანიზაციასთან არსებულმა კორესპონდენტთა ასოციაციამ. ნ. ტ. ფედორენკომ ხაზგასმით აღნიშნა, რომ საბჭოთა კავშირი მუდამ ისწრაფოდა და ისწრაფვის, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის შესაძლებლობანი გამოვიყენოთ, რათა უზრუნველყოთ მშვიდობა, აღვკვეთოთ აგრესიულ ძალთა ბრიკეები, ვიბრძოლოთ კოლონიალიზმისა და რასიზმის ნაშთების წინააღმდეგ, განიარაღებისა და საერთაშორისო დაძაბულობის შენელებისათვის, განვავითაროთ საერთაშორისო თანამშრომლობა სხვადასხვა დარგში.

საბჭოთა კავშირი მუდამ ილაშქრებს წესდების დამახინჯების წინააღმდეგ, რაც იმპერიალისტურ ძალებს სურთ, ილაშქრებს იმერიკის შეერთებული შტატების ცდის წინააღმდეგ, რომ ეს ორგანიზაცია გადაქცეთ თავიანთი უაღრესად ანგარებიანი პოლიტიკის ინსტრუმენტად. მოვლენები კონგოში, ვიეტნამსა და დომინიკოს რესპუბლიკაში ცხადყოფენ, რომ შეერთებული შტატები თავიანთი აგრესიული მოქმედებით უხეშად თელავენ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის წესდების მთავარ პრინციპებს.

ამერიკის შეერთებული შტატები აფურხებენ გენერალური ასამბლეის მუშაობას ხელოვნურად შექმნილი საბაბებით, ხმის უფლების წართმევას ემუქრებიან იმით, ვინც სამართლიანად იცხადებს უარს ანაზღაუროს ხარჯები კოლონიზატორთა სამხედრო ავანტიურებისა, რომლებიც გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ალმით ინიღბება, სინამდვილეში კი მათი განხორციელება ორგანიზაციის წესდების უხეში დარღვევაა.

ნ. ტ. ფედორენკოს გამოსვლა

გოში: ჩვენ არ შევწყვეტთ ბრძოლას

ვაშინგტონი, 10 ივნისი. (საკდესი). დომინიკოს რესპუბლიკის ყოფილმა პრეზიდენტმა ხუან ბოშმა, რომელიც ახლა განდევნილია, მოუწოდა დომინიკოელ ხალხს განაგრძოს შეუპოვარი ბრძოლა შეერთებული შტატების მიერ კუნძულის სამხედრო ოკუპაციის შეწყვეტისათვის. დომინიკოს რესპუბლიკაში კონსტიტუციური რეჟიმის აღდგენისათვის. იგი გამოვიდა პუერტო-რიკოს რადიოთი და თქვა: ამერიკელებს უნდათ, რომ დაივიწყონ ათასობით დაღუპული და დაზარალებული.

ხუან ბოშმა ამხილა ამერიკის შეერთებული შტატების ჩარევა სანტო-დომინგოს საშინაო საქმეებში. როგორც ბოშმა თქვა, ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის სპეციალურმა წარმომადგენელმა მარტინმა, რომელიც ჯონსონმა გაგზავნა დომინიკოს რესპუბლიკაში, აქტიური მონაწილეობა მიიღო ბრძოლაში ამერიკელ იმპერატორთა ინტერესებისა და ამერიკული სამხედრო ხუნტის შექმნაში. მარტინმა, აღნიშნავს ბოში, მიიწვია რამდენიმე თვალსაჩინო დომინიკოელი, უმთავრესად სამხედრო პირნი, და დაიყოლია შეექმნათ „მთავრობა" იმპერატორ მეთაურობით.

ეს ფაქტები მოყვანილია ხუან ბოშის ინტერვიუში, რომელიც გაზეთ „ჩიკაგო დეილი ნიუსს" მისცა.

ჩეხოსლოვაკიის ლუმუმბა-მკვლელის ბედი

ტუნისი, 10 ივნისი. (საკდესი). ტუნისის ყოველკვირეულ „ეფენ აფრიკის" მორიგ ნომერში გამოქვეყნდა მრავალი ოფიციალური დოკუმენტი, ცოცხალ პირთა აღიარება, დოკუმენტების ფოტოპირები, აგრეთვე მოყვანილია სხვადასხვა ფაქტი, რომლებიც მოწმობს, რომ კონგოელი ხალხის თავისუფლებისათვის მამაცი მებრძოლი პატრის ლუმუმბა და ორი მისი თანამებრძოლი — ჟოზეფ ოკიტო და მორის მპოლო ვერაგულად დახოცა 1961 წლის 17 იანვარს ღამით ელიზაბეტვილში ბელგიელმა ოფიცერმა კაპიტანმა ჟულიენ გატმა — ლეოპოლდვილის კონგოს ახლანდელი პრემიერ-მინისტრის მოიზ ჩომბეს პირადი ბრძანებით.

აფრიკელ ხალხს, წერს „ეფენ აფრიკი", ახსოვს ეს საზარელი დანაშაული. ოც თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ამ ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტები გულდასმით აგროვებდნენ ლეოპოლდვილში, ელიზაბეტვილში, ბრიუსელსა და ანტვერპენში დოკუმენტებსა და სხვადასხვა ფაქტს, რომლებიც ბევრს ფენენ კონგოელი ხალხის გმირის მკვლელობის გარემოებას.

„ეფენ აფრიკი" ასახელებს კიდევ რამდენიმე სხვა ბელგიელ დაქირავებულს, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ ლუმუმბას მკვლელობაში, ზოგი მათგანი ახლა ბელგიაში ცხოვრობს, ზოგი კი კვლავინდებურად მსახურობს ჩომბეს ჯარებში.

„ეფენ აფრიკაში" გამოქვეყნებული ფაქტები პატრის ლუმუმბას და მისი ამხანაგების დახოცვის შესახებ გადაეგზავნა „ას-სანბაქმა".

ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის გმირი ხალხი, რომელსაც ამერიკის ავიაცია ბარბაროსულად ბომბავს, ბრძოლასა და შრომაში მამაცობის ნ. მუშებს გვიჩვენებს. ამუამად კუთხე ბინის პროვინციის სოფლის მეურნეობის მუშაკები გაზაფხულის მოსავლის ბრინჯს იღებენ.

სურათზე (მარცხნივ): ბრინჯის მოსავლის აღება დეი ფონგის კოოპერატივში.

ამერიკელ აგრესორები და მათი საგანგებო მარიონეტები ჯაშუშებსა და დივერსანტებს გზავნიან ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის ტერიტორიაზე. ამას წინათ გაასამართლეს ჯგუფი ტერორისტებისა, რომლებიც ძირს დაშვებისთანავე დაენგბდნენ ადგილობრივ ხელისუფლებს.

სურათზე (ქვემოთ): ჯგუფის წევრების კუთვნილი ჯაშუშური აღჭურვილობა და პირადი ნივთები.

ფოტო ვიო-საკდესისა.

ბერლინი-ბრესლაუ-ვარშავა-აღმოსავლეთი ბერლინი-დასავლეთი გერმანია — ჩვენ მივდიოდით გამარჯვებულთა გზით ომის დამთავრებიდან 20 წლის შემდეგ.

მივდიოდით ახალგაზრდები — პედაგოგები, ინჟინრები, ჟურნალისტები, ექიმები, მუშები, რუსები და ქართველები, ბელორუსები და თათრები, მივდიოდით იმათი ტოლები, ვინც ოცი წლის წინათ ამ გზით, ბრძოლებისა და გამარჯვების გზით მიიწევდა წინ, სიცოცხლის ფასად მიიწევდა.

ყველას როდი მიუღწევია გზის ბოლომდე. ყველამ ვერ იდღესასწაულა გამარჯვების პირველი მშვიდობიანი დღე.

„სამარადისო დიდება საბჭოთა არმიის მებრძოლებს, რომლებმაც თავი შეწირეს ფაშისტური მონობისაგან კაცობრობის განთავისუფლების საქმეს" — ამოკვეთილია მარმარილოს უზარმაზარ დრობებზე რუსულად და გერმანულად ტრეპტოვ-პარკი შესასვლელში.

ტრეპტოვ-პარკი — საბჭოთა მეომრების ძმათა სასაფლაო — მემორიალი, სამარადისო დიდების ძეგლი.

გრანიტში ნაკვეთი მუხლმოდრეკილი მეომრები ჯლოვობენ გმირებს. იქ კი, სივრცეში, საბჭოთა მეომრის — განმათავისუფლებლის ძეგლი დიდებისა და მშვიდობის სიმბოლოდ აღმართულა.

მარმარილო ცივია ყინულივითი...

საოცრად ბევრია დღეს მნახველები.

— ყოველთვის ასეა, — განგვიმარტავს გიდი.

მოდიან ჯარისკაცები, სტუდენტები, ტურისტები და ბავშვები. ძალიან ბევრი ბავშვია დღეს აქ. მოჰყავთ დედებს, მამებს, მოდიან სკოლები, კლასები.

მათთვის ომი ისტორია წიგნში წაკითხული გაკვეთილია. აქ დაკრძალულთა სიცოცხლე იყო საჭირო, რომ ომი ისტორიის გაკვეთილადღა ქცეულიყო პატარებისათვის.

და მოჰყავთ მასწავლებლებს ბიჭები და გოგონები, ქერათმიანი ბავშვები, არაბაშვური სიდინჯით რომ მოაბიჯებენ ახლა ტრეპტოვ-პარკის ხეივანში, მგლოვიარე დედის ძეგლის წინ რომ ჩერდებიან.

— ვას ისტ დას? — ეკითხება მასწავლებელი.

პატარები ხელებს მაღლა სწევენ — იციან, კარგად იციან, ვისი ძეგლიც არის ეს.

მერე ამათა საფლავებს ჩაუვლიან ჩუმად და თბება გაყინული გრანიტი პატარა ხელების შებებით.

ტრეპტოვ-პარკის მონახულება ტრადიციაა აღმოსავლეთ ბერლინში.

• • •

ტრადიციები დასავლეთ გერმანიაშიც არის. ტრადიციები ისტორიული, ტრადიციები სტუდენტური; ტრადიციები ლიტერატურული, ტრადიციები...

ჰაიდელბერგი სტუდენტური ტრადიციების ქალაქია: კარნავალი, ბალები, ჩირაღდნები ღამით...

ქალაქის თავზე კურფიურსტის სასახლეა: გოტიკა, იტალიური რენესანსი, გერმანული რენესანსი, გერმანული გვიანი რენესანსი — ყველაფერი ერთად.

სასახლიდან ქალაქი ხელისგულივით მოჩანს. ქალაქის თავზე — დრობები.

— დღეასწაულია?

— არა; სტუდენტურ გაერთიანებათა დროშებია, — გვიხსნის გერჰარდ ჰაუპმანი — ჰაიდელბერგის უნივერსიტეტის სტუდენტი, — კავშირების ერთადერთი მიზანია, რაც შეიძლება მეტი ლუდი დაალევინონ თავიანთ წევრებს, მე არ მომწონს.

გერჰარდს არ მოსწონს ასეთი ტრადიცია. ჩვენ მაინც შეგვიყვანეს სტუდენტურ რესტორანში. ჩვეულებრივი ძველი დუქანი გრძელი სკამებითა და მაგარი ბუხის მაგიდებით, სხვადასხვა ადგილებიდან მოპარული ორაზროვანი აბრებით და სტუდენტთა წინაპარი სტუდენტების ფოტოსურათებით კედლებზე, დანით ამოჭრილი წარწერები მაგიდაზე და ლუდი, ლუდი.

შეიძლება მოგწონდეს ასეთი ტრადიცია, შეიძლება არა. შეიძლება მისმა გარკვეულმა ეგზოტიკურობამ გაგიტაცოს. შეიძლება არა.

ეს შენი პირადი საქმეა.

შენი პირადი საქმეა, გაგეცინება თუ არა მოხერხებული თერძის — ვიბელის ოინზე, ახლა ლეგენდად რომ ქცეულა.

დიუსელდორფის ერთ პატარა შესასვლელში გარკვეულ დროს კედელში დატანებული საათის კარი იღება და გამობრძანდება თერძი ვიბელი. ვიბელი ნაპოლეონის დროს ცხოვრობდაო. იმპერატორს რაღაც არ მოსწონებია მისი და 7 კვირით პატიმრობა მიუსჯია. თერძს ბევრი სამუშაო ჰქონია და თავის მაგიერად საპყრობილეში შეგირდი გაუგზავნია. მოწყალე ავად გამხდარა და ციხეშივე გარდაცვლილა. დაუსაფლავებიათ იისე, რომ ვიბელი ჯერ ნებიათ. ცოტა ხნის შემდეგ გამოჩენილა თერძი და გაკვირვებული ხალხისათვის უთქვამს, აბა შემხედეთ, როგორი მიცვალებული ვარო.

გამოდის ახლა კედლიდან ხისგან გაკეთებული თერძის ფიგურა. მხიარულად აქნევს თავს და ნემსიანი ხელით დირიჟორობას იწყებს. ჯერეს ძველი მელოდია, შემდეგ მეორე. მერე თავს გვიქნევს აქაური მოლა ნაურედინი და ისევ კედლის უკან იმალება.

ესეც ტრადიციაა. უწყინარი ტრადიცია.

გერმანელები პატივს სცემენ ტრადიციებს.

ტრადიციებს გააჩნიათ...

გავცდით თუ არა იმავე შესასვლელის კუთხის სახლს, დაფდაფების საბრძოლო ხმამ ქუჩა აავსო და ყურთასმენა წაიღო.

მწყობრი ნაბიჯით შევდგენენ პატარა რესტორანში შავ ფორმიანი მედაფდაფენი.

რესტორანში ხანშიშესული მამაკაცები ისხდნენ, თითქოს ცეცხლი მეუნთესოო — თვალები აუბრიალდათ, ისეხლიან აევსოთ, დაიძაბნენ — კორიდაზე ხარ თვალწინ ფითელ ნაჭრის რომ აუფრიალებენ. ისე. აცმუკდნენ. მარშის ტაქტზე იქნევდნენ ხელებს: ზევით, ქვევით, ზევით, ქვევით...

საწყალი თარჯიანი — ეს ძველი ტრადიციააო. ქალაქების წინათ დამცველი გვარდია ჰყავდათ, იმათგან მოდიან.

— ჩვენ არ გვინდა უყურადღებოდ დავტოვოთ ძველი გერმანული ოლქები, — გვიპასუხებს დირექტორი.

რა ყურადღებაა ასეთი? ამაზე დირექტორის პასუხი ერეკვ საჭირო არ არის, იმავე რუკასთან ლოზუნგი ჰკიდია: „ვაალე კარი!" სხვანაირად — ვაალე კარი და შედი, შედი იმატომ, რომ შენია; ვაალე იმატომ — რომ დაკარგულია კარი, ე. ი. საზღვრები.

ამაზე მეტი და აშკარა პროპაგანდა რევანშიზმისა ბავშვებისათვის წარმოუდგენელია. ჩვენმა ამხანაგებმა გეოგრაფიის, ისტორიის სახელმძღვანელოები გადაათვალიერეს — ყველგან იგივე სურათი იყო — გერმანია 1937 წლის საზღვრებით. ამის შემდეგ, რასაკვირველია, ადალ დაიჯერებ სიმპათიური დირექტორის ნათქვამს, რომ ეს მხოლოდ ყურადღების მიქცევა, ცნობისმოყვარეობა თუ რაღაც ამგვარია.

მერე კიდევ უფრო გამოიკვეთა და აშკარა გახდა ეს საკითხი. ქობურგში ბუნდესვერის ახალგაზრდა ოფიცრებს შევხვდით. დისკუსია გვქონდა. მხოლოდ ერთ ნაწყვეტს მოვიყვან ამ დისკუსიიდან:

პირველი შეკითხვა ჩვენია: რატომ აირჩიეს ბატონმა ოფიცრებმა სამხედრო კარიერა, რაში ხედავდნენ თავიანთ მისიას.

— ჩვენი მიზანია თავდაცვა იმ საშიშროებისაგან, რომელიც აღმოსავლეთიდან მომდინარეობს. კომუნიზმის მიზანია მსოფლიო რევოლუცია, ამისთვის სამხედრო ძალას გამოიყენებენ.

— ჩვენ რაღაც არ გვახსოვს, რომ საბჭოთა კავშირი თავს დასმოდეს ვინმეს, მათ შორის გერმანიასაც (პირიქით კი იყო) და ძალით მოეხდინოს რევოლუცია.

— საბჭოთა კავშირი გერმანიას თავს არ დასხმია, მაგრამ... და იმეორებენ ჩვენი ოპონენტები გაცვეთილი ფრაზებს კომუნიზმის აგრესიულობის შესახებ. გულმდგინე მასწავლებლებმა რომ დაუპირებინეს მათ.

— კი მაგრამ, იცით რა არის კომუნიზმი?

სამჯერ ვკითხეთ. სამჯერვე სიტყვა ბანზე აგვიგდეს, არ იცოდნენ და რას გვიპასუხებდნენ.

სკოლაში ნანახ რუკაზე ჩამოვუგდეთ ლაპარაკი. ვეუხარით, რომ ეს ცუდად შენიღბული რევანშიზმია.

— თუ 1937 წლის საზღვრების დაბრუნებას რევანშიზმს დავარქმევთ, ჩვენ ყველანი რევანშისტები ვართ, — თქვა ერთმა, პირდაპირ და მოურიდებლად. ასეთ გულსაღიღობას სხვები არ მოელოდნენ, შეცბუნდნენ. არაო, ჩვენ ასე არ ვფიქრობთ, ეს მარტო მისი აზრიაო და ამდაგვარები.

ჩვენთვის ცხადი იყო, ვისი აზრიც თქვა ბუნდესვერის ახალგაზრდა ოფიცერმა.

დასავლეთ გერმანიაში ორი ძირითადი მიმართულება შეგამჩნიეთ ახალგაზრდობის, თუ შეიძლება ითქვას, პოლიტიკურ „აღზრდაში".

ერთი პოლიტიკურობა და ინერტულობის დაბერგვა ახალგაზრდობაში. ასე იყო ბრაუნშვეიგში სტუდენტებს შორის. ასე იყო ვოლცბურგიც. ასეთმა ინერტულობამ, პოლიტიკისადმი გულგრილმა დამოკიდებულებამ საშუალება მისცა თავის დროზე ჰიტლერს სახელმწიფოს სათავეში მოქცეულიყო. ასეთი ინერტულობა ხელს უხსნის ბონელ პოლიტიკოსებსაც.

მეორე მიმართულება აშკარა ანტიკომუნისტური პროპაგანდაა.

ჰამბურგის უნივერსიტეტის შესასვლელთან, მთელი კუბის გაყოლებაზე აფიშებია გამოკრული. ისინი სტუდენტებს საჯარო ლექციებსა თუ სემინარებზე იწვევენ: „პრესა გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში"—ინფორმაცია თუ აგიტაციაა? „ანტიფაშისტური გადატრიალება საბჭოთა ზონაში" და სხვა ამგვარი ბინძური სისულელეები.

• • •

მარტო რევანშისტები და მილიტარისტები არ ცხოვრობენ გერმანიის ფედერაციულ რესპუბლიკაში.

ჩვენ საშუალება გვქონდა შევხვედროდით მსგავსი მრეწველებს, ბანკირებს, გრაფებს, მუშებს, სტუდენტებს, მოსამსახურეებს. უმრავლესობას ერთი აზრი ქონდა — ომი საშინელებაა, საჭიროა მშვიდობა და საბჭოთა კავშირთან ურთიერთობის განმტკიცება.

დიუსელდორფში კომერციბანკის დირექტორმა ბატონმა ფუსმა შეხვედრა გაგვიმართა.

— თქვენი მოგზაურობა ომის დამთავრების 20 წლისთავს დაემთხვა. ჯერ კიდევ ბევრი პროპოზიცია დარჩა გადასაჭრელი, — თქვა მან. — და მიუხედავად იმისა, რომ წლების განმავლობაში ჩვენს თავზე შავი ცა იყო, დარწმუნებული ვართ, რომ ხალხებს ომი არა სურთ.

ასე ფიქრობს ბატონი დირექტორი. ასე ფიქრობს ბრაუნშვაიგში სტუდენტური სასადილოს შეფ-მზარეული ბატონი დღუგასი.

შეფს ხელი მაჯაში აქვს გადატეხილი. ომის ნიშანი დამრჩაო. ლენინგრადის მისადგომებთან დაჭრილა. მაშინ ჯვეროდა, ახლა სადილით გვიმასპინძლდება.

— ეს უფრო სასიამოვნოა ომზე, — გვითხრა.

ერთ-ერთ ქარხანაში ხანშიშესული მამაკაცი მომიახლოვდა.

— გამარჯობა, ამხანაგო! — რუსულად თქვა.

— გაგიმარჯოთ, რუსული საიდან იცით?

— ტყვედ ვიყავი საბჭოთა კავშირში.

მერე ხელი ჩამომართვა და მშვიდობა და შეგობრობა მისურვა.

ეს იყო და ეს.

სამაგიეროდ ესენი კრუპის კონცერნის საოქმო განყოფილების გამგემ გრაფმა ცეტვინცარმენმა უფრო დაწვრილებით ილაპარაკა მშვიდობიან თანაარსებობაზე. იმაზე, რომ საჭიროა ეკონომიური ურთიერთობის გაუჯობესება, რომ მათ საბჭოთა კავშირისაგან ბევრი რამ ისწავლეს.

— განსაკუთრებით კადრების აღზრდის, სწავლების საქმეში. ჩვენ ამის თქმისა სრულიადაც არა გვრცხვენია. სოციალისტურ ქვეყანაში სწავლების სისტემა საერთოდ უკეთესია. ჩვენ სულელები ვიქნებოდით, თქვენგან რომ არ გვესწავლა.

ასე ბევრი ფიქრობს დასავლეთ გერმანიაში, ვისაც კი აინტერესებს თავისი ქვეყნის მომავალი, მშვიდობიანი მომავალი.

ა. სანებლიძე.

ტურისტის ჩანაწერები



ამერიკელ ჯარისკაცთა ლუმუმბა-მკვლელობის ბრალდებულ ბელგიელ ოფიცერ-ტერორისტ კაპიტან ჟულიენ გატმა

ტუნისი, 10 ივნისი. (საკდესი). ტუნისის ყოველკვირეულ „ეფენ აფრიკის" მორიგ ნომერში გამოქვეყნდა მრავალი ოფიციალური დოკუმენტი, ცოცხალ პირთა აღიარება, დოკუმენტების ფოტოპირები, აგრეთვე მოყვანილია სხვადასხვა ფაქტი, რომლებიც მოწმობს, რომ კონგოელი ხალხის თავისუფლებისათვის მამაცი მებრძოლი პატრის ლუმუმბა და ორი მისი თანამებრძოლი — ჟოზეფ ოკიტო და მორის მპოლო ვერაგულად დახოცა 1961 წლის 17 იანვარს ღამით ელიზაბეტვილში ბელგიელმა ოფიცერმა კაპიტანმა ჟულიენ გატმა — ლეოპოლდვილის კონგოს ახლანდელი პრემიერ-მინისტრის მოიზ ჩომბეს პირადი ბრძანებით.

აფრიკელ ხალხს, წერს „ეფენ აფრიკი", ახსოვს ეს საზარელი დანაშაული. ოც თვეზე მეტი ხნის განმავლობაში ამ ჟურნალის სპეციალური კორესპონდენტები გულდასმით აგროვებდნენ ლეოპოლდვილში, ელიზაბეტვილში, ბრიუსელსა და ანტვერპენში დოკუმენტებსა და სხვადასხვა ფაქტს, რომლებიც ბევრს ფენენ კონგოელი ხალხის გმირის მკვლელობის გარემოებას.

„ეფენ აფრიკი" ასახელებს კიდევ რამდენიმე სხვა ბელგიელ დაქირავებულს, რომლებსაც მონაწილეობა მიუღიათ ლუმუმბას მკვლელობაში, ზოგი მათგანი ახლა ბელგიაში ცხოვრობს, ზოგი კი კვლავინდებურად მსახურობს ჩომბეს ჯარებში.

„ეფენ აფრიკაში" გამოქვეყნებული ფაქტები პატრის ლუმუმბას და მისი ამხანაგების დახოცვის შესახებ გადაეგზავნა „ას-სანბაქმა".

დინ რასკის ინტერვიუ

**ვაშინგტონი, 9 ივნის

მესამე გამარჯვება

ევროპის გუნდურ პირველობაზე, რომელიც ჰამბურგში მიმდინარეობს, სსრ კავშირისა და იუგოსლავიის მოჭადრაკეთა გუნდების პაექრობა დამთავრდა 4,5:3,5 საბჭოთა ნაკრების სასარგებლოდ. ორი პარტია გადაიდო. ბოტვინიკმა და გლიგორიჩმა ორთაბრძოლა ყაიმით დაამთავრეს, კორჩნოიმ მოუგო მატანოვჩს. ჩვენმა მოჭადრაკეებმა გაიმარჯვეს 6:4.

სამი ტურის შემდეგ სსრ კავშირის გუნდს 20,5 ქულა აქვს.

სპორტის ამბები

ევროპის რვაგზის ჩემპიონი

გუშინ მოსკოვში დამთავრდა ევროპის XIV ჩემპიონატის დასკვნითი ტურნირი კალათბურთში.

ამ დღის ცენტრალურ ასპარეზობას წარმოადგენდა სსრ კავშირისა და იუგოსლავიის ნაკრებთა ფინალური მატჩი. დასაწყისში ბრძოლა გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა, შემდეგ უპირატესობა ხელი იგდეს ჩვენმა კალათბურთელებმა, მე-5 წუთისთვის ისინი წინ იყვნენ 7 ქულით. იუგოსლავიელებმა ძალთა მობილიზებით შეძლეს ქულათა სხვაობის მინიმუმამდე დაყვანა, ხოლო მე-18 წუთზე წინასწორობა აღადგინეს — 25:25.

პირველი ტაიმი დამთავრდა 29:25 საბჭოთა კალათბურთელების სასარგებლოდ.

მეორე ნახევარში ბრძოლამ კიდევ უფრო მძაფრი ხასიათი მიიღო. ჩინებულად თამაშობდა დანევი. გაიმარჯვეს საბჭოთა კალათბურთელებმა ანგარიშით 58:49.

ამრიგად, **სსრ კავშირის ნაკრები მერვეულ გახდა ევროპის ჩემპიონი.** ჩვენმა კალათბურთელებმა დაამტკიცეს, რომ მათ ევროპის კონტინენტზე ბადალი არ ყავთ. ვერცხლის მედლის მფლობელი გახდა იუგოსლავიის გუნდი. გუშინ პოლონელებმა დაამარცხეს იტალიის გუნდი და მესამე საპრიზო ადგილი დაიკავეს. მეოთხე იყო იტალიის ნაკრები.

მომდევნო ადგილებზე გამოვიდნენ: ბულგარეთის, ისრაელის, ჩეხოსლოვაკიის, საბერძნეთის, საფრანგეთის, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის, ესპანეთის, ფინეთის, რუმინეთის, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის, უნგრეთისა და შვეიცარიის გუნდები.

ჩემპიონატი საზეიმოდ დაიხურა.

სურათზე: სსრ კავშირის ნაკრები გუნდი — ევროპის 1965 წლის ჩემპიონი. მარცხნიდან: **ვ. ეგლეტისი, ა. პეტროვი, ნ. სუშაკი, ა. ხხიერელი, ი. ლიპსო, ვ. პაულაუსკასი, ნ. ბაგლეი, ა. ტრავინი, ზ. საკანდელიძე, ვ. ხრონინი, ა. ალაჩაჩიანი, გ. ვოლნოვი.**

ფოტო ბ. სვეტლანოვისა.



„სპარტაკი" — ნახევარფინალში

გუშინ მოსკოვში გაიმართა კიდევ ერთი მეოთხედფინალური მატჩი ფეხბურთში სსრ კავშირის თასზე. თამაშობდნენ ადგილობრივი „სპარტაკისა" და ალმა-ატის „კაირატის" გუნდები.

დასაწყისშივე სპარტაკელთა ორ გოლს სტუმრებმა მხოლოდ ერთი ბურთით უპასუხეს. ეს ანგარიში არ შეცვლილა. მოსკოვის „სპარტაკი" ნახევარფინალში გავიდა, სადაც მისი მეტოქე ლენინგრადის „დინამოსა" და კუიბიშევის „კრილია სოვეტოვის" გუნდებს შორის გამარჯვებული იქნება.

ფეხბურთში სსრ კავშირის თასის გათამაშების ბადე



სოფიის ფიცარნაგზე

სოფიაში გრძელდება ევროპის ჩემპიონატი ძალოსნობაში. მსუბუქი წონის შტანგისტთა შორის მთავარი მეტოქეები იყვნენ ჩვენი ქვეყნის წარმომადგენელი **ვლადიმერ კაპლუნოვი** და პოლონელი **ვოლდემარ ბაუანოვსკი.** თვითეულმა მათგანმა სამკიდში აჩვენა 425 კილოგრამი. აქ ოქროს მედლის საკითხი სპორტსმენთა წონამ გადაწყვიტა. პირველი ადგილი პოლონელ შტანგისტს ხვდა **ვ. კაპლუნოვმა** აკვრაში აჩვენა 167,5 კილოგრამი და სსრ კავშირის ახალი რეკორდი დაამყარა.

დ. დ. ციციშვილი

სსრ-ის მეურნეობის მექანიზატორთა რიგებს უდროოდ გამოაკლდა გამოჩენილი მეცნიერი, მკვლევარი და ინჟინერ-მექანიზატორთა აღზრდის საქმის უბადლო პატრიოტი და შესანიშნავი თაოსანი, საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანა-იარაღების კათედრის გამგე პროფესორი დიმიტრი დავითის-ძე ციციშვილი.

დიმიტრი ციციშვილი დაიბადა 1906 წელს. იგი 16 წლიდან შრომითს მოღვაწეობაში ჩაება. 1923-25 წლებში მძიმე მრეწველობისა და მიწსახკომის საწარმოების მუშა იყო.

დიმიტრი ციციშვილი რესპუბლიკის პირველ ჰიდროტექნიკურ ნაგებობათა მშენებლობის აქტიური მონაწილე იყო. 1931 წელს დამთავრა ამიერკავკასიის ენერგეტიკული ინსტიტუტი და ინჟინერ-მექანიკოსის წოდება მიენიჭა. ამავე წლიდან დ. ციციშვილი სამეცნიერო-პედაგოგიურ მოღვაწეობას იწყებს. იგი ამიერკავკასიის მექანიზაციის და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის მეცნიერმუშაკი იყო, ხოლო 1932 წლიდან სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მანქანა-იარაღების კათედრის ასისტენტი. 1939 წელს დაიცვა საკანდიდატო დისერტაცია და მიენიჭა ტექნიკურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი.

დიდი სამამულო ომის დაწყების პირველი დღიდანვე დიმიტრი ციციშვილი სამშობლოს დამცველთა რიგებში იყო.

1937 წლიდან 1944 წლამდე კათედრის დოცენტი იყო. ხოლო 1961 წლიდან მას მანქანათმცოდნეობის კათედრის გამგედ ირჩევენ.

1944 წელს დ. ციციშვილი სსრ-ის სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტის მექანიზაციის ფაკულტეტის დეკანად იქნა არჩეული და თითქმის 15 წლის მანძილზე ხელმძღვანელობდა სოფლის მეურნეობის ინჟინერ-მექანიზატორთა კადრების აღზრდის საპატიო საქმეს.

პროფ. დ. ციციშვილის მეცნიერული ხელმძღვანელობით აღიზარდა მრავალი მეცნიერებათა კანდიდატი და დოქტორი. პროფ. დ. ციციშვილის კალამს მრავალი მეცნიერული შრომა, გამოკვლევა და სახელმძღვანელო ეკუთვნის.

დ. ციციშვილმა პირველად დაამუშავა რესპუბლიკის მთაგორიანი პირობებისათვის ახალი სახის მანქანა-იარაღების მუშაობის პრინციპები იგი მექანიზაციის დარგში მრავალი მეცნიერული გამოკვლევისა და ახალი მანქანის შექმნისა და შემდგომი სრულყოფის ინიციატორი და კონსულტანტი იყო.

მეცნიერების თვალსაჩინო მოღვაწის, იშვიათი ადამიანური თვისებებით შემკული სპეტაკი და გულისხმიერი ადამიანის დიმიტრი ციციშვილის ხსოვნა მუდამ უდიდესი მადლობის გრძნობით იქნება მოსსენებული მისი მეგობრების, მის მიერ აღზრდილ მექანიზატორთა დიდი თაობის და რესპუბლიკის ფართო საზოგადოებრიობის მიერ.

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო,
სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტი,
„საქსოფლტექნიკა",
მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი,
ჩაისა და სუბტროპიკული კულტურების საკონსტრუქტორო ბიურო.

საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი

აცხადებს სტუდენტთა მიღებას სტაციონარულ განყოფილებაზე 1965/66 სასწავლო წლისათვის შემდეგ ფაკულტეტებზე:

1. სუბტროპიკული მეურნეობის (ქართული და რუსული სექტორები — სწავლული აგრონომის სპეციალობით);

2. დეკორაციული მებაღეობის განყოფილება (ქართული სექტორი — სწავლული აგრონომ-დეკორატორის სპეციალობით);

3. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის (ქართული და რუსული სექტორი — ინჟინერ-ტექნოლოგის სპეციალობით);

4. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის (ქართული სექტორი — ინჟინერ-მექანიზატორის სპეციალობით);

ინსტიტუტში მიიღებიან მოქალაქენი 35 წლის ასაკამდე, რომლებსაც მიღებული აქვთ სრული საშუალო განათლება. იმ პირთათვის, რომლებსაც დამთავრებული აქვთ სპეციალური საშუალო სასწავლებელი, საკალდებულოა 3 წლის საწარმოო სტაჟი.

ინსტიტუტში შემსვლელნი მისაღებ გამოცდებს აბარებენ შერჩეული სპეციალობის მიხედვით შემდეგ მაპროფილებელ საგნებში:

1. სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე და დეკორაციული მებაღეობის განყოფილებაზე: ა) ქიმია (ზეპირი), ბ) ფიზიკა (ზეპირი).

2. სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე: ა) მათემატიკა (ზეპირი), ბ) ფიზიკა (ზეპირი), გ) ქიმია (ზეპირი).

3. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე: ა) მათემატიკა (წერა, ზეპირი), ბ) ფიზიკა (ზეპირი).

სუბტროპიკული მეურნეობის ფაკულტეტზე, დეკორაციული მებაღეობის განყოფილებაზე და სუბტროპიკული კულტურების ტექნოლოგიის ფაკულტეტზე შემომსვლელნი დამატებით აბარებენ გამოცდებს არამაპროფილებელ საგანში ქართულ ენასა და ლიტერატურაში (წერა), ხოლო რუსულ ენასა და ლიტერატურაში (რუსულ სექტორზე) სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციის ფაკულტეტზე შემომსვლელი დამატებით აბარებს გამოცდას არამაპროფილებელ საგნებში ქიმია — ზეპირი, ქართული ენასა და ლიტერატურაში — წერა.

ინსტიტუტში ჩარიცხვა იწარმოებს 1965 წლისათვის სსრ კავშირის უმაღლეს სასწავლებლებში მიღების წესების შესაბამისად.

უკონკურსოდ მიიღებიან: ა) სამამულო ომის მონაწილენი და საბჭოთა არმიისა და ფლოტის რიგებიდან დემობილიზებულნი, რომლებმაც ბისაგან გამოცდებზე მიიღეს დადებითი შეფასება, ბ) საშუალო სკოლის ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები და ის პირები, რომლებსაც აქვთ საშუალო სპეციალური სასწავლებლის დიპლომი წარჩინებით და მისაღებ გამოცდებზე მიიღებენ ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში შეფასება ფრიადს.

შენიშვნა: ოქროსა და ვერცხლის მედალოსნები და სპეციალური საშუალო განათლების მქონე აბიტურიენტები, რომლებსაც აქვთ დიპლომი „წარჩინებთან", აბარებენ გამოცდებს მხოლოდ ერთ-ერთ მაპროფილებელ საგანში:

1. სუბტროპიკულ ფაკულტეტზე და დეკორაციული მებაღეობის განყოფილებაზე — ფიზიკაში (ზეპირი),
2. სოფლის მეურნეობის ტექნოლოგიის და მექანიზაციის ფაკულტეტებზე — მათემატიკაში (ზეპირი).

იმ შემთხვევაში, თუ მედალოსანი ან წარჩინებითი დიპლომის მქონე აბიტურიენტი გამოცდას ჩაბარებს მაპროფილებელ საგანში ფრიადზე, იგი თავისუფლდება შემდგომი გამოცდებისაგან, ხოლო თუ მიიღო კარგი ან დამაკმაყოფილებელი, გამოცდას აბარებს ყველა საგამოცდო საგანში საერთო წესის მიხედვით.

პირველ რიგში ჩარიცხებიან ის პირები, რომლებიც მისაღებ გამოცდებს ჩაბარებენ წარმატებით და მოვლინებული არიან ინსტიტუტში სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დაწესებულებებიდან.

უპირატესობით ისარგებლებენ არჩეული პროფილის მიხედვით საწარმოო სტაჟის მქონენი.

განცხადებები მიიღება მიმდინარე წლის 20 ივნისიდან 31 ივლისამდე.

განცხადება შემოტანილ უნდა იქნას რექტორატის სახელზე. შემომსვლელის მიერ შერჩეული ფაკულტეტის ჩვენებით და უნდა დაერთოს შემდეგი საბუთები: 1. საშუალო განათლების დოკუმენტი (დედანი), 2. ავტობიოგრაფია, 3. პასპორტი და სამხედრო ბილეთი (ადგილნენ პირადად), 4. 4 ცალი ფოტოსურათი (გადაღებული უქუდოდ) 3×4 სმ. ზომისა), 5. ცნობა საწარმოო სტაჟის შესახებ (ამონაწერი შრომის წიგნაკიდან, რომელსაც ხელს აწერს წარმოების ხელმძღვანელი ან კრლმეტონრების კომგამის თავმჯდომარე). ცნობაში ნაჩვენები უნდა იყოს შრომადღეების საკალდებულო მინიმუმი და გამომუშავებული შრომადღეების რაოდენობა წლების მიხედვით. სამხედრო სამსახურის უკანასკნელი წლის მოსამსახურეებმა განცხადების შემოტანისას უნდა წარმოადგინონ ცნობები, გაცემული სამხედრო ნაწილების მეთაურთაგან მისაღები გამოცდების ჩასაბარებლად მოკლევადიანი შეებულების მიცემაზე თანხმობის შესახებ. სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან უმაღლეს სასწავლებელში გაგზავნილმა პირებმა დამატებით უნდა წარმოადგინონ ერთიანი ფორმის მომართვა სასწავლებელში მიგზავნების შესახებ, 6. დახასიათება უკანასკნელი სამუშაო ადგილიდან, 7. ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 286), დადასტურებული პოლიკლინიკის მიერ, 8. ცნობა საცხოვრებელი ადგილიდან.

გამოცდები იწარმოებს 1-დან 20 აგვისტომდე.

ინსტიტუტის მისამართი: სოხუმი — კელასური, საქართველოს სუბტროპიკული მეურნეობის ინსტიტუტი.

ბათუმის საზღვაოსნო სასწავლებელი

აცხადებს მიღებას 1965-1966 სასწავლო წლისათვის გემთსამშენებლო და გემთმექანიკურ განყოფილებებზე.

ორივე განყოფილებაზე ქართული და რუსული სექტორებია.

სწავლების ვადაა 4 წელიწადი.

მიიღებიან მამრობითი სქესის პირები 15 წლის და 6 თვის ასაკიდან 30 წლამდე, რომლებსაც აქვთ განათლება არასრული საშუალო სკოლის მოცულობით და რომლებიც ჯანმრთელობის მდგომარეობის მიხედვით აკმაყოფილებენ საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობისათვის წაყენებულ მოთხოვნებს.

სასწავლებელში ყველა შემსვლელი აბარებს მისაღებ გამოცდებს რვა კლასის ფარგლებში რუსულ ენაში — წერა (კარნახით), მათემატიკაში (არითმეტიკა, ალგებრა და გეომეტრია) — წერა და ზეპირი.

ქართულ სექტორზე შემსვლელნი გამოცდას აბარებენ აგრეთვე ქართულ ენაში — ზეპირი.

კონკურსგარეშე ჩარიცხებიან ის პირები, რომლებიც ჩაბარებენ მისაღებ გამოცდებს და გაიცვლიან სამედიცინო კომისიას, რომლებსაც აქვთ საზღვაო ფლოტის გემებზე მუშაობის სულ მცირე ორი წლის სტაჟი, შემდეგ სსრ კავშირის შეიარაღებული ძალებიდან თადარიგში დათხოვნილი პირები, აგრეთვე სულ მცირე ორი წლის მუშაობის საწარმოო სტაჟის მქონენი.

განცხადებები სასწავლებელში შესვლის სურვილის შესახებ მიიღება 31 ივლისამდე.

განცხადებას უნდა დაერთოს დაწერილებითი ავტობიოგრაფია, მოწმობა განათლების შესახებ (მხოლოდ დედანი), სამედიცინო ცნობა ჯანმრთელობის მდგომარეობის შესახებ (ფორმა № 286), შრომის წიგნაკის პირი (მუშაობის სტაჟის მქონეთათვის), ამონაწერი სამხედრო ბილეთიდან (შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის), დახასიათება-რეკომენდაცია, ოთხი ფოტოსურათი ზომით 3×4 (გადაღებული უქუდოდ).

მისაღები გამოცდები — 1-დან 20 აგვისტომდე.

იმ პირებისათვის, რომლებსაც აქვთ სულ მცირე ორი წლის მუშაობის სტაჟი, და შეიარაღებული ძალებიდან დემობილიზებულთათვის 1 ივნისიდან გახსნილია მოსამზადებელი კურსები.

სასწავლებელში მიღების პირობებზე დაწვრილებითი ცნობებისათვის მიმართეთ: ქ. ბათუმი, გორგოლეთის ქ. № 1.

თბილისის ტოპოგრაფიული ტექნიკუმი

აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1965-1966 სასწავლო წლისათვის პირველ და მესამე კურსებზე.

პირველ კურსზე მიიღებიან ის პირები, რომლებმაც დაამთავრეს არასრული საშუალო სკოლა, ხოლო **მესამე კურსზე** — სრული საშუალო სკოლის კურსდამთავრებულნი.

განცხადების მიღება 10 აგვისტომდე.

მიღების პირობები საერთოა ყველა ტექნიკუმებისათვის.

მისაღები გამოცდები 16 აგვისტოდან 25 აგვისტომდე.

ტექნიკუმში შემსვლელთათვის მოსამზადებელი კურსები გაეხსნება 10 ივნისიდან.

ტექნიკუმის მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპ. № 25, ტელეფონის № 2-30-33.

დირექცია

საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტრო

აცხადებს მიღებას ასპირანტურაში 1965 წლისათვის.

I. მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი — (დიღომი);

დასწრებულ სწავლებაზე: მიკრობიოლოგიაში — 1, ბიოქიმიაში — 1 და ციტოლოგიაში — 1.

II. მიწათმოქმედების სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (მცხეთა, საგურამო).

დასწრებულ სწავლებაზე: ბიოქიმიაში — 1, ბიოფიზიკაში — 1, აგროქიმიაში — 1;

დაუსწრებელ სწავლებაზე: მიკრობიოლოგიაში — 1, მემცენარეობაში — 2 და მიწათმოქმედებაში — 1.

III. ნიადაგმცოდნეობის, აგროქიმიის და მელიორაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (თბილისი, ზოია რუხაძის ქ. № 1);

დასწრებულ სწავლებაზე: ნიადაგმცოდნეობაში — 1;

დაუსწრებელ სწავლებაზე: აგროქიმიაში — 1.

IV. მცენარეთა დაცვის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პროსპექტი № 17).

დასწრებულ სწავლებაზე: ენტომოლოგიაში — 1, მიკრობიოლოგიაში — 1 და ფიტოპათოლოგიაში — 2.

დაუსწრებელ სწავლებაზე: ენტომოლოგიაში — 1 და ფიტოპათოლოგიაში — 2.

V. სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტი (თბილისი, ა. წერეთლის პრ. № 56).

დასწრებულ სწავლებაზე: სასოფლო-სამეურნეო მანქანები — 1, სოფლის მეურნეობის წარმოების მექანიზაცია — 1 და სოფლის მეურნეობის წარმოების ელექტროფიკაცია — 1;

დაუსწრებელ სწავლებაზე: სასოფლო-სამეურნეო მანქანები — 2 და სოფლის მეურნეობის ელექტროფიკაცია — 1.

საკონკურსო გამოცდები იწარმოებს: სპეციალობაში, სკკპ ისტორიაში და ერთ-ერთ უცხო ენაში.

მექანიზაციისა და ელექტროფიკაციის სამეცნიერო-საკვლევი ინსტიტუტის ასპირანტურაში შემსვლელთათვის მისაღები გამოცდები ენასა და სკკპ ისტორიაში იწარმოებს მცენარეთა დაცვის ინსტიტუტში (თბილისი, ი. ჭავჭავაძის პრ. 17), ხოლო სპეციალობაში შესაბამის ინსტიტუტებში.

შემსვლელთათვის საკალდებულოა უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების შემდეგ მუშაობის სტაჟი არანაკლებ ორი წლისა, არჩეული სპეციალობის მიხედვით.

ასპირანტურაში მიიღებიან მოქალაქენი: დასწრებულ სწავლებაზე არაუმეტეს 35 და დაუსწრებელზე— არაუმეტეს 45 წლისა.

განცხადებასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქნას შემდეგი დოკუმენტები: 1. კადრების აღრიცხვის ფურცელი ფოტოსურათით და ავტობიოგრაფია, 2. უმაღლესი სასწავლებლის დამთავრების დიპლომის დამოწმებული პირი, 3. დახასიათება უკანასკნელ სამუშაო ადგილიდან, 4. დოკუმენტი მუშაობის სტაჟის შესახებ, 5. გამოქვეყნებული შრომების სია ან გამოგონების საავტორო მოწმობა. ვისაც არა აქვს გამოქვეყნებული მეცნიერული შრომები ან საავტორო მოწმობები, ისინი ადგენენ რეფერატს არჩეული სპეციალობის მიხედვით, 6. ინსტიტუტის სპეციალურ სხდომის ოქმის ამონაწერი იმ პირებმა, რომლებსაც რეკომენდაცია ეძლევათ ინსტიტუტის დამთავრებისთანავე ასპირანტურაში შესასვლელად.

განცხადებები მიიღება 1965 წლის 25 აგვისტომდე.

მისაღები გამოცდები 1965 წლის 10 სექტემბრიდან 25 სექტემბრამდე.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება ინსტიტუტებში.

დისერტაციების დაცვა

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის გეოლოგიური ინსტიტუტი

ინსტიტუტის სამეცნიერო საბჭოს დიდ სხდომაზე გეოლოგიურ-მინერალოგიურ მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად დისერტაციებს დაიცავენ:

1965 წლის 23 ივნისს დღის 1 საათზე, **თამაზ ბესარიონის-ძე ჯანელიძე** თემაზე: **„კავკასიონის სამხრეთი ფერდის გეოსინკლინის შუაიურული კუნძულკანიზმი (ენგურ-ცხენისწყლის ფარგლებში)".**

30 ივნისს, დღის 11 საათზე, **ლილი ტრიფონის ასული ჭელიძე** თემაზე: **„ვალეს ტუფოგენური ნალექების ფლორა".**

დღის 1 საათზე, **ჯუმბერ გიორგის-ძე იოსებიძე** თემაზე: **„აფხაზეთის ზედაიურული კარბონატული ნალექების ფაუნა და მისი ეკოლოგია".**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება ინსტიტუტის ბიბლიოთეკაში (ზოია რუხაძის ქ. № 1. კორპუსი 9).

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი.

1965 წლის 21 ივნისს, დღის 2 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ციალა სეითის ასული ხეცურიანი** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ინფრაწითელი სამზეო სპექტროფოტომეტრის კონსტრუქცია და გამოცდა და დაკვირვება ზოგიერთი ფრაუნჰოფერისებული ხაზის კონტურების ცვალებადობაზე მზის ბადროს ცენტრიდან კიდისაკენ".**

21 ივნისს დღის 4 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ბალინა ლეონიდეს ასული ფედორჩენკო** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ირმის ნახტომის აგებულება გალაქტიკურ გრძედებზე 12°—22°".**

23 ივნისს დღის 2 საათზე № 1 აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. 11) ბიოლოგიურ მეცნიერებათა დოქტორის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ზინაარ ალექსანდრის ასული ნოვგრუზოვა** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„ეკოლოგიური პირობების გავლენა ხეებისა და ბუჩქების წყალგამტარ კომპლექსებზე".**

26 ივნისს დღის 4 საათზე ფიზიკის დიდ აუდიტორიაში (ი. ჭავჭავაძის პრ. № 3) ფიზიკა-მათემატიკური მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხის მოსაპოვებლად **ინესა ანატოლის ასული დანელია** დაიცავს დისერტაციას თემაზე: **„პლაზმაში არაწრფივი ტალღების ურთიერთქმედების ზოგიერთი საკითხი".**

დისერტაციების გაცნობა შეიძლება უნივერსიტეტის ბიბლიოთეკაში.

საქართველოს ზოოტექნიკურ-სავეტერინარო სასწავლო-საკვლევი ინსტიტუტი

აცხადებს კონკურსს შემდეგი ვაკანტური ადგილების დასაკავებლად.

1 — მეფრინველეობის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ან მეფრინველეობის დარგში საწარმოო სტაჟისა და გამოცდილების მქონე ზოოტექნიკოსი — 1 ერთეული.

2 — მეცხვარეობის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ან მეცხვარეობის დარგში საწარმოო სტაჟისა და გამოცდილების მქონე ზოოტექნიკოსი — 1 ერთეული.

3 — ზოოჰიგიენის განყოფილების უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი ან სპეციალობის მიხედვით საწარმოო სტაჟის მქონე ვეტექიმი — 1 ერთეული.

4 — გულრიფშის დასაყრდენი პუნქტის უმცროსი მეცნიერი თანამშრომელი, სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა კანდიდატი ან საწარმოო სტაჟის მქონე აგრონომი — 1 ერთეული.

5 — სამხარეო პათოლოგიის და მოზარდთა დაავადების შემსწავლელი განყოფილების უმცროსი მეცნიერ თანამშრომელი, მეცნიერებათა კანდიდატი ან სპეციალობის მიხედვით საწარმოო სტაჟის მქონე ვეტექიმი — 1 ერთეული.

კონკურსში მონაწილეობის მსურველმა განცხადება უნდა შეიტანოს ინსტიტუტის რექტორის სახელზე და ამავე დროს წერილობით აცნობოს იმ დაწესებულებას, სადაც მუშაობს.

განცხადებას უნდა დაერთოს კადრების აღრიცხვის პირადი ფურცელი, ავტობიოგრაფია, უმაღლესი განათლების დიპლომის სათანადოდ შემოწმებული პირი, სამეცნიერო წოდებისა და ხარისხში დამტკიცების საბუთების სათანადოდ შემოწმებული პირი, დახასიათება მუშაობის უკანასკნელი ადგილიდან, სამეცნიერო შრომათა და გამოგონებათა სია.

კონკურსის ვადაა 15 დღე ამ განცხადების გამოქვეყნებიდან.

მისამართი: ი. ჭავჭავაძის პროსპექტი, № 13.

ეს ბანერი ავტომატურად ფარავს ბანერებს

რა ვნახოთ, რა მოვისმინოთ

თეატრები

11 ივნისი

ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის სახელმწიფო აკადემიური — ამიერკავკასიის მუსიკალური გაზაფხული — მინდია (1-ლი აბონ. მე-6 წარმოდგენა), **რუსთაველის სახელობის** — ვახშმობის წიგნ (მე-7 და გაცდენილი აბონ.), **მარჯანიშვილის სახელობისა** — ვისია ვისი? (პრემიერა, უაბონემენტოდ), **გრიბოედოვის სახელობის** — 104 გვერდი სიყვარულზე (მე-6 აბონ. მე-8 წარმოდგენა), **ვასო აბაშიძის სახელობის მუსიკალური კომედიის** — სიმღერა თბილისზე, **ფილარმონიის საზაფხულო** — სახელმწიფო ქორეოგრაფიული ანსამბლის „ბერიოზკას" კონცერტი (საღ. 8 ს. და 30 წ.), **მოზარდ მაყურებელთა ქართული** — კონა (№ 24 აბონ. საღ. 6 ს.).

ტელევიზია

11 ივნისი

17.55 — გადაცემათა პროგრამა, 18.00 — თქვენთვის, „ატარებდა!" კონცერტი, 18.20 — პიონერული ახალი ამბები, 18.35 — მოსწავლეთათვის — მოკლემეტრაჟიანი ფილმი, 19.05 — გადაცემა — „ახალი წიგნები", 19.20 — მხატვრული პროგრამა, 21.30 — მხატვრული ფილმი „ოქროს გვიმრა", 23.10 — ახალი ამბები.

თბილისის ზ. ფალიაშვილის სახელობის ოპერისა და ბალეტის ლენინის ორდენოსანი სახელმწიფო აკადემიური თეატრი

ლენინგრადის ს. მ. კიროვის სახელობის ოპერისა და ბალეტის აკადემიური თეატრის სოლისტების

რსფსრ დამსახურებული არტისტის

ნინელ კუტრგაკინას

და

ვადიმ ბუდარინის

ბალეტრილები

შაბათი 12 ივნისი

ოთხშაბათი 16 ივნისი მე-2 აბონემენტის მე-6 სპექტაკლი.

ლ. მინკუსი

დონ-კიხოტი

ჩელიტას პარტიას შეასრულებს

ნ. კუტრგაკინა

ბაზილის პარტიას შეასრულებს

ვ. ბუდარინი

ბილეთები იყიდება. დასაწყისი საღ. 7 ს. 30 წ.

„დინამოს" სტადიონი,

ა. წერეთლის პროსპ. № 2.

ტელ. 5-21-62

18 ივნისს

ფეხბურთი

სსრ კავშირის პირველობის გათამაშება „ა" კლასის გუნდებს შორის

„დინამო" მოსკოვი — „დინამო" თბილისი

ძირითადი შემადგენლობანი

დასაწყისი 20 საათზე

ბილეთები, რომლებიც წინათ კიროვის პარკის, საცურავი აუზისა და პარკ „სტელას" სალაროებში იყიდებოდა, გაიყიდება „დინამოს" სტადიონის სალაროებში.

ბილეთები წინასწარ გაიყიდება აბონემენტებით 11 და 12 ივნისს 12 საათიდან, საერთო გაყიდვა 13 ივნისს 10 საათიდან.

რედაქტორი

დ. მჰედლიშვილი.

ეს ბანერი ავტომატურად ფარავს ბანერებს
ეს ბანერი ავტომატურად ფარავს ბანერებს
ეს ბანერი ავტომატურად ფარავს ბანერებს